Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐ

მიღებულია საქართველოს პრეზიდენტის №591 ბრძანებულების შესაბამისად

2009

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	3
სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა	4
კანონმდებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ	10
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	13
სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმა	20
პრობაციის სამსახური	23
იურიდიული დახმარების სამსახური	27
პროკურატურა	32
პოლიცია	35
სასამართლო ხელისუფლების განახლებული სტრატეგია	42
იურიდიული განათლება და პროფესიული ტრეინინგი	45
სახალხო დამცველი	48

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

საქართველოს პრეზიდენტის №591 ბრძანებულების საფუძველზე, ევროკომისიის მხარდაჭერით, შეიქმნა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს რეფორმების წარმართვას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპების გათვალისწინებით. უწყებათაშორის საბჭოს საქმიანობას კოორდინაციას უწევს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამდივნო.

საკოორდინაციო საბჭოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა 2005 წლის სისხლის სამართლის მარლთმსაჯულების სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის განახლება არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით.

საკოორდინაციო საბჭოსთან შეიქმნა ოთხი სამუშაო ჯგუფი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და უფასო იურიდიული დახმარების სფეროში. სამუშაო ჯგუფებს დაევალათ შესაბამის სფეროებში სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადება, მათ შორის ისეთ მიშვნელოვან გამოწვევებთან მიმართებაში, როგორიც არის ციხის გადატვირთულობა, არასრუწლოვანთა არსებული მდგომარეობის გამუჯობესება, და ა.შ.

განახლებული სტრატეგია მოიცავს ორ დამატებით კომპონენტს არასრუწლოვანთა მართლმსაჯულებისა და პრობაციის მიმართულებით. აგრეთვე საჯარო განხილვისათვის მოწვეულ იქნა სახელმწიფო უწყებების მიერ დაკომპლექტებული *Ad Hoc* სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განიხილა როგორც განახლებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, აგრეთვე 2005 წლის სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვა კომპონენტები, შეიმუშავა კომენტარები და განსახილველად წარუდგინა უწყებათაშორის საბჭოს.

სისხლის სამართლის რეფორმა საქართველოს ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ამ პროცესში ჩართულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად საბჭოსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობენ საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

მოცემული სტრატეგია განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის/რეფორმის ძირითად მიმართულებებს, რომლის შესრულების მონიტორინგიც დაევალა საბჭოს სამდივნოს. არსებული სამუშაო ჯგუფების ფარგლებში მოხდება მიმდინარე საქმიანობების განხილვა, ამასთან სამდივნო პერიოდულად საკოორდინაციო საბჭოს განსახილველად წარუდგენს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს.

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა გათვლილია 4-5 წელიწადზე (2009 – 2013 წლები). საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლება.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან დაკავშირებული რეფორმები მიმართულია როგორც შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცებისაკენ ქართული მართლმსაჯულების სისტემაში, ისე მართლმსაჯულების სისტემის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპული სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფისაკენ. სისხლის სამართლის პროცესის რეფორმა ეყრდნობა მთელ რიგ ფუძემდებლურ პრინციპებს:

- სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის სრულყოფილად გატარება, როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზე; წინასწარი გამოძიების შეკვეცა და მთავარი აქცენტის გადატანა სასამართლო განხილვაზე;
- პირის მიერ ბრალდებულის სტატუსით და შესაბამისი უფლებებით სარგებლობა მის მიმართ ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების გატარებიდან საბოლოო განაჩენის გამოტანამდე;
- გამოძიების სავალდებულოობა დანაშაულის ნებისმიერ ფაქტზე აუცილებელი რეაგირების გზით;
- პროკურორის როლის შეზღუდვა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნით და დევნის დისკრეციულობის პრინციპის განმტკიცება;
- ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გადმოტანა წინასასამართლო გამოძიების სფეროში და მოსამართლის მკაცრ კონტროლს დაქვემდებარება;
- წინასწარი გამოძიების პროცესში ბრალდებულის უფლებათა დაცვის ზედამხედველობისათვის მოსამართლის როლის კიდევ უფრო გაძლიერება;
- წინასწარი პატიმრობის გამოყენების მაქსიმალურად შეზღუდვა და უპირატესობის მინიჭება არასაპატიმრო, ალტერნატიული ღონისძიებებისათვის;
- მოწმის მიერ ჩვენების მიცემის ნებაყოფლობითობა წინასწარი გამოძიების დროს;
- წინასწარი სასამართლო განხილვის სამართალწარმოების ცალკე სტადიად ჩამოყალიბება;
- სასამართლო გამოძიების აგება მტკიცებულებების გამოკვლევის უშუალობისა და ზეპირობის პრინციპზე;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესის პრინციპის ამოქმედება;
- საქმის სააპელაციო და საკასაციო წესით განხილვისათვის, საჩივრის დასაშვებობის ინსტიტუტის შემოღება.

1. ზოგადი დებულებები

საპროცესო კოდექსი აგებული იქნება პირთა კანონის წინაშე თანასწორობის, მათი პატივისა და ღირსების დაცვის, სამართლიანი, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის, უდანაშაულობის პრეზუმფციის, პირის კონსტიტუციურ უფლებათა სრული დაცვის პრინციპებზე.

საპროცესო კოდექსი გაითვალისწინებს მტკიცებულებების დასაშვებობის სტანდარტს. მტკიცებულება დაუშვებელია, თუ მისი მოპოვება მოხდა კანონის დარღვევით.

სისხლის სამართლის საპროცესო ვადები დარეგულირდება ცალკე მუხლით, რომელიც მოიცავს ზოგადი ხასიათის დებულებებს ვადების სახეებისა და მათი განსაზღვრისა თუ გამოთვლის წესებს. “გონივრული ვარაუდის” სტანდარტი გამოიყენება კოდექსით გათვალისწინებული ყველა შემთხვევაში, გარდა კოდექსში უშუალოდ გათვალისწინებული სპეციალური შემთხვევებისა.

2. ბრალდებული

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ნმდებლობისაგან განსხვავებით, გაითვალისწინებს . პროგრესულ გაგებას. პირს მიეცემა ბრალდებულის ებულის უფლებებს, თუ მას წარედგინება ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, თუ მას დააკავებენ ამ კანონის საფუძველზე და დადგენილი წესით, ან მის მიმართ განხორციელდება კოდექსით გათვალისწინებული სხვა საპროცესო იძულებითი ღონისძიება. პირი ბრალდებულის სტატუსით და უფლებებით ავტომატურად ისარგებლებს მანამ, სანამ არ მოხდება მის მიმართ მიმდინარე სისხლისსამართებრივი დევნის შეწყვეტა ან სასამართლოს განაჩენი არ შევა კანონიერ ძალაში.

მტკიცებულებების გამოძიების წესები უნდა იყოს დაფუძნებული განსაზღვრულ სტანდარტებზე, რომელიც ხელს შეუწყობს მხარეების მიერ მტკიცებულებების გაცვლას საკუთარი ინიციატივით ან პროცესამდე სულ მცირე 5 დღით ადრე. დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს პრივილეგია გაუმჟღავნებლად დატოვოს ზოგიერთი ძალიან მნიშვნელოვანი მტკიცებულება, მაშინ როცა ბრალმდებელი ვალდებულია გაამჟღავნოს ყველა გამამართლებელი მტკიცებულება.

ბრალდებულს უფლება ექნება, საკუთარი ხარჯებით, თვითონ ან დამცველის დახმარებით მოიპოვოს მტკიცებულებები. მოცემული უფლების განხორციელების მიზნით ბრალდებული შუამდგომლობით მიმართავს მოსამართლეს. იგი უფლებამოსილია, ამ მიზნით გამოავლინოს და გამოკითხოს ნებისმიერი პირი, გამოითხოვოს დოკუმენტები სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებიდან, ჩაატაროს ნებისმიერი სახის ექსპერტიზა, მოიპოვოს წერილობითი დასკვნა. ამ გზით მოპოვებულ მტკიცებულებას თანაბარი ძალა აქვს ბრალდების მხარის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებასთან.

3. ბრალდებულის დამცველი

დამცველს უფლება ექნება, ისარგებლოს ბრალდებულის ყველა უფლებით და მისთვის აწარმოოს საპროცესო მოქმედებები. დამცველი ვერ ისარგებლებს იმ უფლებებით, რომლებითაც თვით ამ უფლებათა ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ უშუალოდ თვით ბრალდებულმა ისარგებლოს. დამცველს უფლება არ ექნება, საჩივარი ბრალისა და სასჯელის ნაწილში ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ წარადგინოს ან გამოიტანოს.

სავალდებულო დაცვა განხორციელდება თუ ბრალდებული, ინდივიდუალური ნაკლის გამო (ფიზიკური, ფსიქიკური და ა.შ.) ვერ ახორციელებს თავის დაცვას, მას წარედნიგინება საპროცესო შეთანხმება; ან საპროცესო კოდექსით მკაცრად განსაზღვრული სხვა ალტერნატიული გზები. ბრალდებულს, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში, დამცველს დაუნიშნავს პროკურორი ან სასამართლო. პროკურორის მიერ დამცველის დანიშვნაზე უარის თქმა გასაჩივრდება სასამართლოში.

უფასო იურიდიული დახმარების გაწევა მოხდება პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, ბრალდებულის გადახდისუუნარობის[1], ან კოდექსით გათვალისწინებული სავალდებულო დაცვის შემთხვევის არსებობისას. სახელმწიფო გაიღებს უფასო იურიდიული დახმარების ხარჯებს.

4. მოწმისა და დაზარალებულის სპეციალური დაცვის ზომები

კოდექსის მნიშვნელოვანი ნოვაცია იქნება მოწმისა და დაზარალებულის დაცვის სპეციალური ზომების გამოყენების ფართო შესაძლებლობები, რომლის მარეგულირებელი დებულებები დაჯგუფებული იქნება ცალკე თავში. მოწმისა და დაზარალებულის დაცვის სპეციალური ზომები ძირითადად მიმართული იქნება მათი უსაფრთხოების დაცვაზე.

[1] იგულისხმება მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენა, როგორც ეს აღწერილია უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის წესდებაში;

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ებულო პროცესი, რომელიც დაიწყება დანაშაულის ფაქტზე რეაგირებით და დამთავრდება საქმის სასამართლოში გადაცემისთანავე. გამოძიების დაწყება სავალდებულოა. გამოძიება წარიმართება განუსაზღვრელი ვადით და გაიმიჯნება სისხლისსამართლებრივი დევნისაგან (ანუ როდესაც საქმეში არსებობს ბრალდებული).

გამომძიებელს დაევალება დანაშაულის გამოსაძიებლად ჩაატაროს ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება. გამომძიებელი ვალდებული იქნება, დაემორჩილოს პროკურორის მითითებებს ან გადასცეს მას საქმე, დასაბუთებული შუამდგომლობით, როდესაც საგამოძიებო მოქმედების ჩატარება მოითხოვს პროკურორის თანხმობას.

ახალი საპროცესო კოდექსით გამოძიებას განახორციელებს არა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელი, არამედ საგამოძიებო ქვემდებარეობა დანაწილდება დანაშაულთა კატეგორიებისა და სპეციფიკის მიხედვით სხვადასხვა სახელმწიფო უწყებას შორის. სხვადასხვა უწყებას ეყოლება თავისი გამომძიებლები საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით.

გამოძიებას უხელმძღვანელებს პროკურორი, რომელიც გამომძიებელს დაავალებს ბრალდებისათვის საჭირო მტკიცებულებების მოპოვებას; ამასთანავე, გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებებს ჩაატარებს გამომძიებელი. პროკურორის სახელმძღვანელო როლი გამოძიების პროცესში გამოიხატება შემდეგში: გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ბრალის წაყენება, უფლების შემზღუდველი საგამოძიებო თუ იძულების ღონისძიების შუამდგომლობით სასამართლოსადმი მიმართვა, საპროცესო შეთანხმების დადება და სხვა.

ბრალდების მხარის მიერ წარმოებული საგამოძიებო მოქმედებები მკაცრად იქნება განსაზღვრული კანონით. ამასთანავე, დაცვის მხარეს შეეძლება ჩაატაროს ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც აკრძალული არ იქნება კანონით.

წინასწარ გამოძიებაში მოწმეს ექნება უფლება და არა ვალდებულება მისცეს ჩვენება დანაშაულთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, მოწმის ჩვენების სავალდებულოობა და უშუალობა სრული მოცულობით განხორციელდება მხოლოდ მოსამართლის წინაშე. ამასთანავე, მოწმის წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენების ნებაყოფლობითობის პრინციპი გაითვალისწინებს გარკვეული კატეგორიის კანონით განსაზღვრულ გამონაკლისებს. წინასწარ გამოძიებაში მოწმე სავალდებულო წესით ჩვენებას მისცემს მოსამართლის წინაშე ორივე მხარის (როგორც ბრალდების, ისე დაცვის) თანდასწრებით.

ახალი კოდექსის სისტემაში ასევე იქნება ასახული ფარული საგამოძიებო მოქმედებები; ფარული საგამოძიებო მოქმედებები დაექვემდებარება სასამართლო კონტროლს და მათ შედეგად მოპოვებული მტკიცებულება, სასამართლოს თანხმობით, ჩაითვლება დასაშვებ მტკიცებულებად.

მკაცრად განსაზღვრული იქნება ბრალდებულად ყოფნის (სისხლისსამართლებრივი დევნის) ვადები, რომლებიც არ შეიძლება აღემატებოდეს 12 თვეს. სისხლის სამართლებრივი დევნა იქნება დისკრეციული.

6. ბრალდებულის თავისუფლების შეზღუდვის საკითხები

ბრალდებულის დაპატიმრების ბრძანებას გასცემს სასამართლო, თუ არსებობს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ეჭვი; ამასთან ერთად, უნდა არსებობდეს დასაბუთრებული ვარაუდი, რომ პირი მიემალება გამოძიებას, ჩაიდენს ახალ დანაშაულს, გაანადგურებს მტკიცებულებას ან დაემუქრება პროცესის მონაწილეებს. დანაშაულზე წასწრებისას, დაკავების უფლება ექნება პოლიციას, გამომძიებელს, პროკურორს, ასევე ნებისმიერ პირს, თუ დაკავების მიზანია ბრალდებულის მოსამართლესთან მიყვანა. დაკავებიდან 48 საათში დაკავებული ბრალდებული უნდა წარედგინოს მოსამართლეს.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ი ვადა, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ
იძლება აღემატებოდეს 9 თვეს. მოსამართლის
დების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს.

7. წინასწარი სასამართლო განხილვა

წინასწარი სასამართლო სხდომის მოსამართლე არ იქნება საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლე.

საპროცესო შეთანხმების საფუძველი იქნება პირის მიერ ბრალის აღიარება გამოძიების პროცესში ან პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო ან საკასაციო დონეზე. სასამართლო პროცესი ჩატარდება მოკლე ვადებში და შეკვეცილი ფორმით, არსებითი განხილვის გარეშე.

წინასწარი სასამართლო სხდომის დაწყებამდე სულ მცირე 5 დღით ადრე, მხარეები ერთმანეთსა და მოსამართლეს წარუდგენენ მტკიცებულებათა სიას, ასევე შესაძლებელი იქნება შეიცვალოს ბრალდების ფორმულირება და ბრალდებულს წარედგინოს ახალი ბრალდება. წინასწარი სასამართლო სხდომის დროს, მოსამართლე ბრალდებულს გააცნობს ბრალდების არსს, შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყვეტს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, გაარკვევს, ორივე მხარეს სურს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი, დანიშნავს საქმის არსებითი განხილვის თარიღს, განიხილავს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის (პატიმრობის ვადის გაგრძელების) საკითხს.

8. საქმის არსებითი განხილვა და სასჯელის დანიშვნა

საქმის არსებითი განხილვა, ახალი კოდექსით, წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს. სისხლის სამართლის საქმის ყველა მტკიცებულების წარდგენა და გამოკვლევა მოხდება სასამართლოს წინაშე, ღია და შეჯიბრებითი პროცესის პირობებში.

მტკიცებულებათა გამოკვლევის მიზნით, მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე, ჩატარდება ერთი ან რამოდენიმე სასამართლო სხდომა, რომელზედაც სრული მოცულობით მოხდება მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევა და პროცესუალური დამაგრება.

საქმის არსებითი განხილვის დროს, მოსამართლე, მხარის შაუმდგომლობით, ახლად გამოვლენილი გარემოების საფუძველზე იხილავს მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, ასევე მოწმეთა დაცვის სპეციალური ზომების მიღების აუცილებლობას;

დანაშაულთა სასამართლო განსაჯადობა დაეყრდნობა ინსტანციურობის პრინციპს. პირველი ინსტანციის სასამართლოები განიხილავენ ყველა დანაშაულებს, მიუხედავად მათი სიმძიმისა; სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვა მოხდება მხოლოდ სააპელაციო წესით. ხოლო უზენაესი სასამართლო იქნება მხოლოდ საკასაციო ინსტანცია.

ბრალდებული ჩვენებას მისცემს მხოლოდ სასამართლო სხდომაზე.

მთავარი სასამართლო განხილვის დროს, მტკიცებულებათა წარდგენა და გამოკვლევა მოხდება მხოლოდ მხარეთა ინიციატივით. მოსამართლე წარმართავს მთავარი სასამართლო სხდომის მიმდინარეობას. არც ერთ მტკიცებულებას არ ექნება წინასწარ განსაზღვრული ძალა. მოსამართლე მთავარი სასამართლო სხდომის დროს წარდგენილ მტკიცებულებებს შეაფასებს მტკიცებულების სტანდარტის შესაბამისად. მტკიცებულებათა შეფასების დროს წარმოშობილი ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, გადაწყდება ბრალდებულის სასარგებლოდ.

სასამართლოს განაჩენი ყოველთვის დასაბუთებული უნდა იყოს; განაჩენი შეიძლება დაუსაბუთებელი იყოს მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ოკურორი სასამართლოში წარმოადგენს სახელმწიფო
ერს ბრალდებას.

9. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო წარმოადგენს ბრალდებულისა და ბრალმდებელის უფლებას.

გარდამავალ პერიოდში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვა გათვალისწინებული იქნება მხოლოდ კანონის გათვალისწინებული გარკვეული კატეგორიის დანაშაულების მიმართ.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 12 მსაჯულისაგან, რომელთა შერჩევა მოხდება 50 კანდიდატისგან შემდგარი საარჩევნო სიიდან, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. მხარეებს უფლება ექნებათ, დასაბუთებული ან დაუსაბუთებელი აცილება მისცენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კანდიდატებს. ნაფიცი მსაჯულების წინაშე სასამართლო განხილვა მიმდინარეობს მხარეთა სრული შეჯიბრებითობის საფუძველზე. ნაფიცი მსაჯულები გადაწყვეტილებას იღებენ მხოლოდ პირის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობის შესახებ.

სასჯელის ზომის განსაზღვრა მოსამართლის პრეროგატივაა. მოსამართლე ბრალდებულს სასჯელს შეუფარდებს სასამართლო სხდომაზე სასჯელის დანიშვნის შესახებ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იძლევა მხოლოდ რეკომენდაციას სასჯელის გაზრდასა თუ შემცირებაზე, რაც მოსამართლისთვის სავალდებულოა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ საკასაციო წესით, საქმის განხილვისას დაშვებულ სამართლებრივ შეცდომებთან დაკავშირებით.

10. აპელაცია

სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი აღსრულდება გამოტანისთანავე. განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს, სააპელაციო ან საკასაციო წესით.

აპელაცია დასაშვები იქნება ყველა კატეგორიის დანაშაულზე, გარდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის(დამნაშავედ ცდნობის შესახებ) საფუძველზე გამოტანილი განაჩენისა, რომელიც გასაჩივრდება საკასაციო წესით. განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრება შეეძლება მხოლოდ ბრალდებისა და დაცვის მხარეს. სააპელაციო ინსტანცია უფლებამოსილი იქნება, განუხილველად დატოვოს აშკარად დაუსაბუთებელი საჩივარი.

სააპელაციო წესით განხილვის დროს არ მოხდება პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილული ფაქტობრივი გარემოებების ხელახალი განხილვა თუ სახეზე არ არის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობა. აპელაციის დროს სრულყოფილად მოხდება მსჯელობა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ კანონის არასწორად გამოყენების საკითხზე.

შეუძლებელი იქნება ხელახალი განხილვის მიზნით საქმის დაბრუნება სააპელაციო ინსტანციიდან ამ საქმის პირველი ინსტანციით განმხილველი სასამართლოსათვის. თუ სააპელაციო სასამართლო მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, მას თავად გამოაქვს ახალი განაჩენი.

11. კასაცია

საკასაციო მართლმსაჯულებას, ქვეყნის ტერიტორიით, განახორიციელებს მხოლოდ უზენაესი სასამართლო. საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება ექნებათ მხოლოდ დაცვისა და ბრალდების მხარეს. საკასაციო სასამართლო განუხილველად დატოვებს აშკარად დაუსაბუთებელ საკასაციო საჩივარს.

საკასაციო საჩივრის შეტანის საფუძველი იქნება კანონის დარღვევა; კანონი დარღვეულად ჩაითვლება, თუ განაჩენი არ ეყრდნობა სამართლებრივ ნორმას ან ის

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ან სახეზეა პროცესუალური ნორმების უხეში და

ააუქმებს, მანვე უნდა გამოიტანოს ახალი განაჩენი. საკასაციო ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენი სავალდებულოა ქვემდომი ინსტაციის სასამართლოსათვის, რომელსაც საქმე უბრუნდება.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

შესავალი

საქართველოს მოქმედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში თავს იჩენს სამართლებრივი ხასიათის პრობლემების მთელი კომპლექსი. ეს პრობლემები უკავშირდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობის მატერიალურ-სამართლებრივ, საპროცესო და სააღსრულებო წარმოების, ასევე ადამიანის უფლებებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროებს. კოდექსის მიღებიდან დღემდე აღნიშნული საკანონმდებლო აქტის განსაკუთრებულ ნაწილში უამრავი ცვლილება განხორციელდა, რომელთა უდიდესი ნაწილი ხშირ შემთხვევაში უწყებრივი ინტერესებით არის ნაკარნახევი. ამასთან, კოდექსით პრაქტიკულად მოუწესრიგებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული საქმის წარმოების წესი. ეს პროცედურა არ არის უნიფიცირებული და განსხვავებულად რეგულირდება სხვადასხვა ორგანოების მიერ, რაც ქმნის ნორმაშეფარდების პროცესში დიდ სირთულეებს და წინააღმდეგობებს როგორც ეფექტიანი ადმინისტრირების, ისე ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა აქტუალობა შესძინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში რეფორმის გატარებას და განაპირობა ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის მომზადება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის შემუშავების მიზანა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობის დახვეწა და თანამედროვე ქართული სამართლის მოთხოვნებთან ჰარმონიზაცია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების ერთიანი, უნიფიცირებული, ეფექტიანი და, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით, მაქსიმალურად მაღალი სტანდარტის შესაბამისი პროცედურის შემუშავება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტით გათვალისწინებული იქნება მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ნოვაციები:

1. საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ეტაპები

კოდექსის ზოგად ნაწილში ჩამოყალიბდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მოქნილი სისტემა. დღეს მოქმედი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა და გადაწყვეტა ხდება ორ ეტაპად: საქმის განხილვის პირველ ეტაპზე საამისოდ უფლებამოსილი პირი (ორგანო) ადგენს ოქმს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე. ამის შემდეგ, ხშირ შემთხვევებში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე მიემართება შესაბამის კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში და იწყება განხილვის მეორე ეტაპი, რა დროსაც ხდება საქმის არსებითი განხილვა და მასზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. ამდენად, მოქმედი კოდექსი ითვალისწინებს საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ფაქტობრივად ორსაფეხურიანი სისტემის არსებობას, რაც იწვევს საკითხის გადაწყვეტის გაჭიანურებას. ახალი პროექტი კი დაამკვიდრებს პრინციპს, სადაც ადმინისტრაციული

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ანკარგულების გამოცემის პროცედურა მოიცავს და სამართალდარღვევის საქმის განხილვისა და

2. განკარგულება ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ

კოდექსის პროექტით განისაზღვრება ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ განკარგულების, როგორც სამართლებრივი დოკუმენტის ბუნება. სრულყოფილად ჩამოყალიბდება განკარგულების რეკვიზიტები. ამასთან, ჩამოყალიბდება ერთიანი მიდგომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების პროცედურასთან დაკავშირებით, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ნებისმიერ საქმეზე უნდა მოხდეს კანონით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ განკარგულების გამოცემა.

3. ადმინისტრაციული პატიმრობა და ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

კოდექსის პროექტით შეიქმნება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მყარი გარანტიები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში. ამ თვალსაზრისით, საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად, მკაფიოდ გაიწერება პირის მიმართ დაკავების გამოყენების საფუძვლები და წესი. პროექტოთ დეტალურად განისაზღვრება აგრეთვე ადმინისტრაციული პატიმრობის, როგორც ყველაზე მკაცრი სახის ადმინისტრაციული სახდელის შეფარდებასა და მოხდასთან დაკავშირებული საკითხები.

კოდექსში დეტალურად გაიწერება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენასთან დაკავშირებით პირადი გასინჯვის, ნივთების, დოკუმენტებისა და სატრანსპორტო საშუალების დროებითი ჩამორთმევის წესი და პირობები; დაიხვეწება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის დასადგენად შემოწმებასთან დაკავშირებული საკითხები, დარეგულირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის დაუდგენლობის შემთხვევაში ოქმის შედგენისა და აღნიშნულ ფაქტზე შემდგომი რეაგირების საკითხი.

4. გასაჩივრების ეფექტიანი მოდელის შემოღება

კოდექსის პროექტი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად გაითვალისწინებს გასაჩივრების ეფექტიანი მოდელის შემოღებას. კერძოდ, ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან/და სასამართლოში. სასამართლო განხილვის ვადები იქნება შემჭიდროვებული.

5. ადმინისტრაციული შეთანხმების ინსტიტუტი

კოდექსის პროექტი გაითვალისწინებს საქმის მორიგებით დასრულების სტიმულირებას, რისთვისაც შემოაქვს ადმინისტრაციული შეთანხმების ინსტიტუტი. აღნიშნული ინსტიტუტი უცხოა ადმინისტრაციული კანონმდებლობისათვის. ადმინისტრაციული

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი
ართალდარღვევის ჩადენის აღიარება და შეთანხმება
და მისი აღსრულების წესზე. ადმინისტრაციული შეთანხმებით სახდელად შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ ჯარიმა. ადმინისტრაციული შეთანხმებით ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იქნება კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ადმინისტრაციული სახდელი შეცვალოს ჯარიმით. ადმინისტრაციული შეთანხმების შეთავაზება შეეძლება როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირს, ისე ადმინისტრაციულ ორგანოს. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ თუ ადმინისტრაციული შეთანხმება არ იქნა დადებული, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის მიერ ადმინისტრაციული შეთანხმების შეთავაზება არ ჩაითვლება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის აღიარებად. ადმინისტრაციული შეთანხმების საფუძველზე ჯარიმის ოდენობის შემცირება შესაძლებელი იქნება არაუმეტეს კანონით დადგენილი ოდენობის 50 პროცენტისა. ადმინისტრაციული შეთანხმებით შესაძლებელი გახდება ჯარიმის გადახდევინების წესის განსაზღვრა (გადავადება ან განაწილვადება). მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციული შეთანხმება არ გაათავისუფლებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან. პროექტში აისახება ადმინისტრაციული შეთანხმების დადების ფორმა, მისი რეკვიზიტები, გასაჩივრების წესი და საფუძვლები

6. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და შესაბამისი სანქციები

აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებთან კონსულტაციების შედეგად, ხელახლა ჩამოყალიბდება ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა დისპოზიციები და განისაზღვრება სათანადო სანქციები.

მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ისიც, რომ პროექტი გაითვალისწინებს მთელი რიგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და მათი ჩადენისთვის გათვალისწინებული სანქციების გადატანას შესაბამის დარგობრივ კანონმდებლობაში, რითაც მაქსიმალურად განიტვირთება კოდექსის კერძო ნაწილი. შედეგად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და შესაბამისი დარგობრივი კანონმდებლობა ერთობლიობაში შექმნის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობას. დარგობრივ კანონმდებლობაში გადატანილი სამართალდარღვევათა საქმეების წარმართვა შესაძლებელი იქნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი ნაწილით დადგენილი წესით. თუმცა, თუ კონკრეტულ სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევები თავისი შინაარსით სპეციფიური ხასიათისაა, რაც განაპირობებს საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზანშეუწონლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად, ასეთ სამართალდარღვევებზე შესაძლებელი იქნება საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობით დადგენილი მექანიზმების გამოყენება.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

...ოვანთა მართლმსაჯულება

ზოგადი შესავალი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება შედის იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურისდიქციაში, თუმცა სხვა სამინისტროებიც ახორციელებენ ღონისძიებებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან და დანაშაულის ჩადენის ზღვარზე მყოფ ბავშვებთან დაკავშირებით. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ ბავშვთან პირველ ეტაპზე შეხება გააჩნია პოლიციას, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებას წარმოადგენს, ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იწყებს დანაშაულის ჩადენის ზღვარზე მყოფი და ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვების პრობლემების მოგვარებაზე მუშაობას უსაფრთხო სკოლის პროგრამის ფარგლებში.

საქართველოს მთავრობამ გამოხატა მზადყოფნა საერთაშორისო სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაში მოიყვანოს თავისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც მიმართული იქნება პრევენციაზე, რეაბილიტაციასა და ინტეგრაციაზე.

საქართველოს მოსახლეობა 4 382 100 ადამიანს შეადგენს, საიდანაც 1 051 500 არიან 18 წლამდე არასრულწლოვნები[2], ხოლო 472 009 არიან 12დან -18 წლამდე ასაკის ადამიანები. ამასთან, 12 წელი წარმოადგენს მძიმე კატეგორიის დანაშაულებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს, როგორიცაა: მკვლელობა, გაუპატიურება, ყაჩაღობა, შეიარაღებული თავდასხმა და იარაღის უკანონო მფლობელობა, ხოლო 14 წელი წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს ყველა დანარჩენი დანაშაულისთვის.

უკანასკნელი წლების მანძილზე გაიზარდა გასამართლებული და პატიმრობაში მყოფი ბავშვების რაოდენობა. 2008 წელს გაიზარდა არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევების რაოდენობა და 1304-ს შეადგენს. ამასთან, იგივე მაჩვენებელი 2007 წელს 923 შემთხვევას შეადგენდა, ხოლო 2006 წელს ეს მაჩვენებელი 888 შემთხვევას შეადგენდა[3]. ანალოგიური სტატისტიკის თანახმად, 2005 წელს დაპატიმრებული არასრულწლოვანების რაოდენობა 475 შეადგენდა, რაც 2007 წელს 1060-მდე, ხოლო 2008 წელს 1166-მდე გაიზარდა[4]. არასრულწლოვანების პასუხისგებაში მიცემა ხდება ძირითადად ქურდობის ფაქტებზე (65% - 2008 წლისთვის), ხოლო მცირე ნაწილი პასუხისგებაში მიცემულია მძიმე კატეგორიის დანაშაულებისთვის (12% - 2008 წლისთვის).

2008 წელს, 134 არასრულწლოვანი (12%) გასამართლებულ იქნა მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის (განზრახ მკვლელობა, განზრახ მკვლელობა ჩადენილი განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში, თავდასხმა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელმაც სიკვდილი გამოიწვია, გაუპატიურება). 755 არასრულწლოვანი (65%) გასამართლდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა, ყაჩაღობა, თაღლითობა, სხვისი ქონების მიტაცება თაღლითური გზით), 38 (3%) არასრულწლოვანი გასამართლდა ნარკოტიკებთან დაკავშირებით ჩადენილი

[2] სტატისტიკის დეპარტამენტი;
[3] საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემები
[4] http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=979&lang=1

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ლწლოვანი გასამართლდა ხულიგნობისთვის, ხოლო ამართლებულ იქნა სხვა სახის ნაკლებად მძიმე

2008 წელს აღრიცხული არასრულწლოვანთა მიერ განზრახ ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა სტაბილური დარჩა წინა წლის მონაცემებთან შედარებით. კერძოდ, 2008 წელს აღრიცხული დანაშაულის რაოდენობა 746-ს შეადგენდა, 2007-წლისთვის კი - 798-ს[6]. 2008 წლისთვის კი არასრულწლოვნების მიერ განზრახ ჩადენილი დანაშაულების რაოდენობამ საგრძნობლად იკლო 2006 წლის მაჩვენებელთან შედარებით, როდესაც აღრიცხულ იქნა 997 დანაშაული[7].

რაც შეეხება არასრულწლოვანთა შორის გავრცელებულ დანაშაულის კატეგორიებს, ქურდობა შეადგენს აღრიცხული დანაშაულების საერთო რაოდენობის 48,8%, შეიარაღებული ყაჩაღობა – 7,9 %, ყაჩაღობა 5,4%, ხულიგნობა 3,2% ხოლო ნარკოტიკული დანაშაული 3,5%.

პრობლემის აღწერა

ამჟამად, არ არსებობს პრევენციული ღონისძიებების ეფექტური სტრატეგია, მიმართული მაღალი რისკის მქონე არასრულწლოვნებისკენ, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდნენ კანონთან წინააღმდეგობაში. პოლიცია და სოციალური სამსახურები ყოველთვის ვერ ახერხებენ დანაშაულის ჩადენის ზღვარზე მყოფი ბავშვების იდენტიფიცირებას და მათთვის პრევენციული პროგრამების შეთავაზებას.

საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ არ კრძალავს კანონთან წინააღმდეგობაში მყოფი ბავშვების პირადი ცხოვრების დეტალების გახმაურებას (მათ შორის მას მედიის საშუალებებით). ადვოკატის წარმომადგენლობა სავალდებულოა და აქედან 2008 წელს არასრულწლოვანების იურიდიული დახმარების საქმეთა რაოდენობის მაჩვენებელი 10%-ს შეადგენდა[8]. იმ შემთხვევაში, როდესაც დაპატიმრებულ ბავშვზე დამოუკიდებელ წარმომადგენელს მიამაგრებენ, მას შესაძლოა არ ჰქონდეს მიღებული სრული ინსტრუქცია თავისი როლის შესახებ. მოსამართლეებს, პროკურორებს და ადვოკატებს უტარდებათ გარკვეული სახის ტრეინინგი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე.

ამჟამად, საქართველოში არსებული პრაქტიკის თანახმად გამოიყენება წინასწარი დაკავების საკნები და სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული ციხეები. დაკავებული ბავშვები შესაძლოა გააჩერონ წინასწარი დაკავების საკანში 72 საათამდე მანამ, სანამ მიღებულ იქნება განაჩენი, რასაც შესაძლოა მოჰყვეს 9 თვემდე წინასწარი პატიმრობა. საპატიმრო სასჯელის გამოყენების ტენდენციას 2008 წლის გამოკლებით მზარდი მაჩვენებელი გააჩნდა. 2005 წელს დაპატიმრებულ იქნა არასრულწლოვანთა 22% (104),

[5] http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=979&lang=1

[6] საქართველოს გენერალური პროკურატურა

[7] გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ შეუძლებელია ამ მაჩვანებლების შედარება სისხლისამართლებრივად დევნილ ან განსჯილ არასრულწლოვნების რაოდენობასთან, რადგანაც შესაძლოა ერთი დანაშაულის ჩადენაზე პასუხსიმგებელი იყოს რამოდენიმე არასრულწლოვანი და ამავდროულად რამოდენიმე დანაშაული შესაძლოა ჩადენილ იქნას ერთი არასრულწლოვანის მიერ. გარდა ამისა, შეუძლებელია აღრიცხული დანაშაულის შედარება სისხლისსამართლებრივი დევნის რაოდენობასთან და ვერც გამამტყუნებელი განაჩენის რაოდენობასთან, რადგანაც დევნა შესაძლოა დაიწყოს დანაშაულის აღრიცხვიდან რანმოდენიმე წლის შემდეგაც.

[8] სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ადე (340), და 2007 წლისთვის მიაღწია 40%-ს (426). სასჯელი – და 2005 წ. 70%-ს, 2006 წ. 62%ს, ხოლო ის სასჯელი (მაგ. საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა) იშვიათად გვხვდება და 2005 წლისთვის 8%-ს, ხოლო 2007 წლისთვის მხოლოდ 4%ს შეადგენდა. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წელს იკლო თავისუფლების აღკვეთის რაოდენობამ და 2008 წელს 33%-ს შეადგენდა. ვადამდე პირობით განთავისუფლების შემთხვევები ძალიან მცირეა და 2008 წლისთვის მხოლოდ 4 არასრულწლოვანს შეეხო. ეს მაჩვენებელი მოიცავს ყველა ტიპის დანაშაულს თავდასხმისა და მკვლელობის გამოკლებით, სადაც თავისუფლების აღკვეთის მაჩვენებელი უფრო მაღალია, მაშინ როდესაც თაღლითობა, ნარკოტიკული და ხულიგნობასთან დაკავშირებული დანაშაული უფრო ხშირად ექვემდებარება არასაპატიმრო სასჯელს. არსებობს პატიმრობის ალტერნატიული სასჯელები, როგორიცაა ჯარიმა, პრობაცია და პრობაციაზე ვადამდე განთავისუფლება. ამჟამად, საქართველოში 647 არასრულწლოვანი პრობაციონერია.

მამრობითი სქესის არასრულწლოვანთათვის არსებობს განცალკევებული საპატიმრო დაწესებულება. გამონაკლისს წარმოადგენენ ქალი არასრულწლოვნები, რომლებიც განთავსებულნი არიან ზრდასრულ ქალთა საპატიმრო დაწესებულებაში. საპატიმრო დაწესებულებებში არსებული საერთო პირობები საკმაოდ მწირია, შეზღუდული ფართითა და სარეაბილიტაციო ღონისძიებების შესაძლებლობით.

პრობაციის სამსახური არასრულწლოვანებთან მიმართებაში გამოიყენება ციხიდან განთავისუფლების შემდგომ. ამჟამად, საქართველოს მთავრობა პილოტირებას უწევს პრობაციის მომსახურების სისტემას ინდივიდუალურ არასრულწლოვანთა მოთხოვნების გათვალისწინებით.

ქართული კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ მოსამართლეებმა, პროკურორებმა და გამომძიებლებმა გაიარონ ტრეინინგი არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში, სანამ ისინი დაიწყებენ არასრულწლოვნებთან მუშაობას. აღნიშნული მოთხოვნა არ ეხება ყველა შესაძლო მოხელეს ვინც არასრულწლოვანებთან მუშაობს, როგორიცაა, მაგალითად, პოლიცია ან იურისტები. ქართული კანონმდებლობა არ ავალდებულებს მოსამართლეებს, პროკურორებს და გამომძიებლებს გაიარონ ყოველწლიური სავალდებულო ტრეინინგი რათა განაახლონ და შეინარჩუნონ ცოდნა. სხვა პროფესიის ადამიანები, რომლებიც არასრულწლოვნთა მართლმსაჯულებაში მუშაობენ, როგორებიცაა: სოციალური მუშაკები, ექიმები, მასწავლებლები და სხვ. ასევე საჭიროებენ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ამჟამად, საქართველოში მონაცემებს, ბრალდებულ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით ფლობს საქართველოს უზენაესი სასამართლო. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტები ასევე ფლობენ გარკვეულ მონაცემებს დაკავებულ და პრობაციის ქვეშ მყოფ არასრულწლოვნების შესახებ. სხვადასხვა წყაროებიდან მოწოდებული მონაცემები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს, რის გამოც შესაბამისი განვითარებების და მიმართულებების ანალიზის გამოთვლა არსებულ მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით სანდო არ არის.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

პრევენცია ცნობილია როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის უპირველესი საფუძველი. პრევენციული პროგრამები ხელს უწყობენ ბავშვების წარმატებულ სოციალიზაციას და ინტეგრაციას ოჯახებში, საზოგადოებაში, თანატოლებში, სკოლაში, სამსახურში და განსაკუთრებით ეხმარება მოწყვლად ანუ სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

პრევენციული პროგრამები შესაძლოა დაეხმაროს დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკის მქონე ბავშვებს მაღალ რისკთან დაკავშირებული პრობლემების გადალახვაში და, აგრეთვე, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის განვითარებას.

პრევენციული პროგრამების აქცენტი კეთდება ისეთი ღონისძიებების გამოყენებაზე, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის პიროვნების, ნიჭისა და შესაძლებლობების განვითარებას. იგი მოიცავს უწყებათაშორის თანამშრომლობას, დანაშაულის ჩადენის ზღვარზე ან კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების გამოვლენას და შესაბამისი ზომების მიღებას; აგრეთვე, სახელმწიფო უწყებებს, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას, პრევენციული პროგრამების ეფექტურობის მიზნით (მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამები, ოჯახის მხარდაჭერა, დასაქმების პროგრამები).

2. სამართლიანი სასამართლო

მინიმალური ასაკობრივი ზღვარი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის უნდა გადაიხედოს და იყოს 14 წელი.

ყოველი ბავშვი, რომელსაც ბრალად ედება სისხლისსამართლებრივი ან დანაშაულებრივი საქციელის ჩადენა, რაც შესაძლოა მისთვის თავისუფლების აღკვეთის მიზეზი გახდეს, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სამართლიანი სასამართლოს უფლებით და შესაბამისი გარანტიებით. ეს გარანტიები მოიცავს ადვოკატის ან სხვა სახის იურიდიული დახმარების მიღებას, პირადი ცხოვრების უფლებას, სამართალწარმოების გაგებისა და საკუთარი აზრის გამოხატვის უფლებას საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, აგრეთვე, გასაჩივრების და ახსნა-განმარტების მიღების უფლებას. ყოველი პირი, რომელსაც შეხება გააჩნია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფარგლებში არასრულწლოვანებთან უნდა იცნობდეს და შეეძლოს აღნიშნული გარანტიების პრაქტიკაში განხორციელება.

შესაბამისი ღონისძიებები უნდა გატარდეს, რათა დაცული იყოს ბავშვთა უფლებები, მათ შორის მათი სრულყოფილად და დროულად ინფორმირება ბრალდებისა და იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ. ამისათვის აუცილებელია პოფესიულად მომზადებული კადრების ყოლა.

საქმის წარმოებისას, მათ შორის სამართალდამცავ ორგანოებთან პირველადი შეხებისას, გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვის დაცვა საქმის გასაჯაროვებით გამოწვეული შესაძლო ზიანისგან. ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული, რომ ბრალდებულ არასრულწლოვანთა ვინაობა არ იქნეს გამხელილი პრესის თუ სხვა პირთა მიერ, საჭიროების შემთხვევაში (მაგალითად, რეციდივის დროს) უნდა გაიმართოს დახურული სასამართლო მოსმენები, განაჩენის გამოტანა უნდა მოხდეს ბავშვის ვინაობის გამხელის გარეშე.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

იმართოს ისე, რომ ბავშვმა გაიგოს პროცესთან
ღურა და საჭირო ინფორმაცია. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვის ინტერესები პროცესის ყველა ეტაპზე, მათ შორის ბავშვის აღქმისა და მონაწილეობის საკითხი. გარემო სადაც პროცესი წარიმართება უნდა იყოს მეგობრული არასრულწლოვანთან მიმართებაში. აუცილებელია მოხდეს მენტალური, ემოციური და ინტელექტუალური მომწიფების დონის გათვალისწინება, ეს მოითხოვს, რომ ყველა პროფესიონალს, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე მუშაობს, გააჩნდეს შესაბამისი პედაგოგიური განათლება.

3. ინტერვენცია

თავისუფლების შეზღუდვა, მათ შორის დაკავება, წინასწარი პატიმრობა და თავისუფლების აღკვეთა, გამოყენებულ უნდა იქნას, როგორც უკიდურესი ღონისძიება შეძლებისდაგვარად ხანმოკლე დროით. სისტემას უნდა გააჩნდეს შესაბამისი შესაძლებლობა რათა გამოყენოს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვების მიმართ სოციალური ან საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებები. ეს შესაძლოა გულისხმობდეს ბავშვის აცილებას სასამართლო საქმის წარმოების პერიოდში და აცილების პროგრამების შემოღებას ეჭვმიტანილი, ბრალდებული ბავშვებისათვის. ინტერვენციის პროგრამებმა ხელი უნდა შეუწყოს ზოგად მიზანს - განახლებული დანაშაულებრიობის შემცირებას.

3.1. ალტერნატიული სქემები

იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი ჩაიდენს მსუბუქ ან ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს, პრაქტიკაში შემოღებულ უნდა იქნას ბავშვის აცილება სისხლისამართლებრივ/არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საქმის წარმოებიდან. აცილების პროგრამები გამოყენებულ უნდა იქნას არასრულწლოვანის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ სარწმუნო მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში. აცილების სქემების შემუშავება და იმპლემენტაცია მოხდება პროკურატურის მეშვეობით. აცილების პროგრამის შედეგად სისხლის სამართლის საქმე იხურება და ქარწყლდება ნასამართლოება. აღნიშნული მიდგომა დადებითად მოქმედებს ბავშვებსა და საზოგადოების ინტერესებზე.

3.2. ალტერნატიული სანქციები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა ფართოდ უნდა იყენებდეს სოციალურ ან/და საგანმანათლებლო ღონისძიებებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებაში. ალტერნატიული სანქციების განვითარებასა და გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვის ემოციური, მენტალური და ინტელექტუალური მოწიფულობა, ასევე კონკრეტული საქმის თავისებურებანი.

3.3 თავისუფლების აღკვეთა

თავისუფლების აღკვეთა, მათ შორის დაკავება ან დაპატიმრება უნდა განხორციელდეს, როგორც უკიდურესი ზომა. დაკავების პერიოდი უნდა გაგრძელდეს რაც შეიძლება მოკლე დროის განმავლობაში და პირობები უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი. დაკავების პერიოდში ბავშვებს უნდა ჰქონდეთ სწავლის შესაძლებლობა. დაპატიმრება უნდა გამოყენებულ იქნას მხოლოდ მძიმე დანაშაულებზე, რომელიც

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ძიმე დანაშაულის განმეორებით ხასიათს. სასჯელის
. იმყოფებოდეს ცხოვრებისთვის ვარგის გარემოში,
ს რეაბილიტაციას. სასჯელის მოხდის პერიოდში
არასრულწლოვანს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, რომ მიიღოს (პროფესიული) განათლება და საჭირო სამედიცინო დახმარება.

არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლებრივი გარანტიებით, როგორიცაა იურიდიული კონსულტაცია და საჩივრის დაწერა, მათ შორის გარე სამყაროსთან ურთიერთობის უფლებითა და შესაბამისი გარანტიებით.

აუცილებელია, ბრალდებული და მსჯავრდებული არასრუწლოვნების განცალკევება, აგრეთვე, არასრულწლოვნებისა და სრულწლოვნების განცალკევება.

4. რეინტეგრაცია

ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვები სასჯელის მოხდის ან პრობაციის პერიოდის შემდეგ განიცდიან სხვადასხვა სახის დისკრიმინაციას, მაგალითად, როდესაც მათ სურთ სამსახურის ან სწავლის დაწყება. თუ ბავშვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა აუცილებელია ყველაფერი გაკეთდეს, რომ მან შეძლოს საზოგადოებაში კვლავ რეინტეგრაცია და შემცირდეს მისი მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა. ზრუნვა, ცხოვრებისეული უნარჩვევების მიცემა და განათლება უნდა შედიოდეს ბავშვის რეინტეგრაციის გეგმაში, რაც მიზნად ისახავს გათავისუფლების შემდგომ მის რეინტეგრაციას საზოგადოებაში.

ვადაზე ადრე გათავისუფლების სისტემა გადაისინჯება და შეიცვლება. ეს დაკავშირებულია რეინტეგრაციის პროგრესულ და პოზიტიურ განვითარებასთან. ციხის დეპარტამენტის არსებულ კომიტეტში და ასევე პრობაციის დეპარტამენტის ამჟამინდელ ხელმძღვანელობშა გატარდება რეფორმა, რათა შესაძლებელი გახდეს არასრულწლოვანი პატიმრების სისტემატიური ვადაზე ადრე გათავისუფლების უზრუნველყოფა.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების და კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების შესახებ მითების და სტერეოტიპების დანგრევის მიზნით აუცილებელია შეიქმნას საგანმანათლებლო პროგრამები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კონფიდენციალურობის საკითხს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

5. კვალიფიციური მუშა ხელი

სათანადოდ მომზადებული პერსონალი ძალიან მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების ყველა ეტაპზე, პრევენციიდან დაწყებული, სასამართლო განხილვასა და რეინტეგრაციით დამთავრებული. ეს მოიცავს სათანადო ცოდნას ბავშვის განვითარების ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიურ ასპექტებზე და იმაზე, თუ რა არის საჭირო ბავშვის ინტერესებისთვის. ეს ეხება არა მხოლოდ მათ ვინც პირდაპირ ჩართულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, არამედ იმ პირებსაც ვინც რეგულარულად ამყარებს კონტაქტს კანონთან წინააღმდეგობაში მყოფ ბავშვებთან.

იმ პერსონალს, რომელიც ჩართულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში უნდა უტარდებოდეს სისტემატიური ტრეინინგები.

6. მონაცემთა შეგროვება, შეფასება და კვლევა

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

[illegible]რებს პოლიტიკის მტკიცებულებებზე დაფუძნებულ [illegible]პასუხისმგებლობას. ინდივიდუალურად ბავშვებზე მონაცემების შეგროვება და მოხსენებების გაკეთება უზრუნველყოფს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრაციის ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას, თითოეულ ბავშვთან მოპყრობის დროს.

კონსოლიდირებული და ხელმისაწვდომი სტატისტიკა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანებთან დაკავშირებით აუცილებელია პოლიტიკის გადასინჯვისთვის. ასეთი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება შესაძლებელია ინტეგრირებული საქმის წარმოების სისტემის მეშვეობით, რომელიც სათანადო ორგანოების მიერ უნდა დაინერგოს.

ამომწურავი მონაცემთა შეგროვების მექანიზმები უნდა შედგებოდეს სისტემატიურად მოგროვებული ინფორმაციისა და მონაცემების საფუძველზე, არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრაციასთან დაკავშირებით. ასეთ დროს აუცილებელია მიღებული პირადი მონაცემების დაცვა და მიღებული ზომებისა, თუ პოლიტიკის რეგულარული შეფასება.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ზოგადი შესავალი - პატიმრობის კოდექსის მიღება

ახალი პატიმრობის კოდექსის მიღება წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის სრულ რეფორმაში. კოდექსი უნდა უზრუნველყოფდეს ზოგად ამოსავალ წერტილს ამ სფეროში მიღებული სხვა საკანონმდებლო ან ნორმატიული აქტებისათვის.

კოდექსის პროექტის განხილვა უნდა გაიმართოს ღია და გამჭვირვალე ფორმატში, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა დაინტერესებული სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო მხარისგან მოწოდებული კომენტარები. კოდექსის მიღებისათვის უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დაუბრკოლებელი და ღია საპარლამენტო პროცესი. კოდექსი უნდა შევიდეს ძალაში 2010 წლის ივნისში, ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან ერთად.

1. პატიმრობის პირობები

სახელმწიფოში უნდა იყოს ორი ძირითადი და სამი სპეციალური კატეგორიის გამოსასწორებელი დაწესებულება. ძირითადი ტიპის გამოსასწორებელი დაწესებულება არის ნახევრად დახურული და დახურული დაწესებულებები. განსხვავება ნახევრად დახურულსა და დახურულ დაწესებულებებს შორის უნდა იქნეს დაფუძნებული დანაშაულის სიმძიმესა და სასჯელზე, და წესები, რომლებიც განასხვავებენ ამ ორ კატეგორიას, უნდა იქნეს შეზღუდული იმ სხვაობამდე რაც საჭიროა სხვადასხვა საჯარო უსაფრთხოების მიზნის მისაღწევად.

სხვა სპეციალური კატეგორიის გამოსასწორებელი დაწესებულებები (სამედიცინო, ქალებისა და არასრულწლოვანთა გამოსასწორებელი დაწესებულებები) უნდა პასუხობდეს შესაბამისი კატეგორიის პატიმრების, კერძოდ, ავადმყოფების, ქალებისა და არასრულწლოვანი პატიმრების განსაკუთრებულ მოთხოვნებს.

პატიმრობის კოდექსში ნათლად უნდა იქნეს აღნიშნული განსხვავება ყველა კატეგორიის დაწესებულებას შორის, ასევე შესაბამისი გარანტიები პატიმრებისათვის. შერეული სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაწესება ბრალდებული და მსჯავრდებული პატიმრებისათვის ასევე უნდა გახდეს შესაძლებელი იმ პირობით, რომ სულ ცოტა საცხოვრებელი ბლოკები უნდა იყოს განცალკევებული თითოეული კატეგორიისაგან.

პატიმრების ოჯახური ცხოვრების უფლება უნდა იყოს ნათლად აღნიშნული და გატარებული პროცედურების მეშვეობით, რომლებიც განსაზღვრულია კოდექსში.

სასჯელაღსრულებაში ჯანდაცვის სისტემა უნდა გაუმჯობესდეს საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

ასევე უნდა მოხდეს პატიმართა შრომითი შესაძლებლობებისა და პატიმართათვის განკუთვნილი სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება და დანერგვა.

2. ბრძოლა ციხის გადატვირთულობასთან

2.1 სასჯელის ხანგრძლივობა

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ოვობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის
ითხით, რომ ითვალისწინებდეს სისხლის სამართლის
თანამედროვე ტენდენციებს და იმ საკითხებს, რომლებსაც სახელმწიფოში
განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სისხლის სამართლის რეფორმაში. საპარლამენტო
განხილვები ამ საკითხებზე დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს და ჩატარდეს ღია და საჯარო
ფორმით.

სასჯელის მოხდა რამდენიმე დანაშაულის ჩადენისას, როგორც ეს მოცემულია
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, უნდა გადაიხედოს იმ ნაწილში, რომ
საბოლოო სასჯელის გამოანგარიშება ხდებოდეს შედარებით ლიბერალურად,
განსხვავებით მიმდინარე სისხლის სამართლის პოლიტიკისაგან.

2.2 პირობით ვადამდე გათავისუფლება

ახალი პატიმრობის კოდექსი უნდა შეიცავდეს ცალკე თავს პირობით ვადამდე
გათავისუფლებაზე. პირობით ვადამდე გათავისუფლება თანდათანობით უნდა იქნეს
გადატანილი სასამართლოდან სპეციალური კომისიაში (კომისიებში), რომელიც
იფუნქციონირებს გამოსასწორებელ დაწესებულებებთან.

სპეციალურმა კომისიამ(ებმა) პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე (პირობით ვადამდე
გათავისუფლების კომისია) უნდა მოიცვას საზოგადოების ფართო მონაწილეობა
შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

კოდექსის მიმდინარე ტექსტი ასევე უნდა გადაიხედოს იმ მიზნით, რომ
გათვალისწინებულ იქნას სათანადო გასაჩივრების პროცედურა (ასევე სასამართლო
გასაჩივრება) პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ასევე, ამჟამად
განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით, პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან
დაკავშირებით უნდა იყოს ხელმისაწვდომი უფრო ხშირ, განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ადრინდელი გათავისუფლების სისტემა გადაიხედება და შესწორდება. ის იქნება
დაკავშირებული დადებით პროგრესთან ინდივიდუალური რეინტეგრაციის გეგმებში.
სასჯელაღსრულების დეპარტამენტში არსებული მუდმივი კომისია, ასევე პრობაციის
შესაბამისი სამსახური, იქნება რეფორმირებული იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს პირობით
ვადამდე გათავისუფლების სისტემატიურ და მიზნობრივ გამოყენებას.

2.3. აღმკვეთი ღონისძიებები და საზოგადოებრივი შრომა

აღმკვეთი ღონისძიებების ფართო გამოყენებისათვის შრომითი საქმიანობის
(საზოგადოებრივი შრომა), საკანონმდებლო, ინსტიტუციური და პრაქტიკული მზადების
სახით, ხელმისაწვდომი უნდა იყოს პრობაციის ამოცანები საჯარო სამართლის
იურიდიული პირებისათვის, კერძო პირებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის.

ზედამხედველობა და პასუხისმგებლობები მესამე მხარის - კერძო პირებისა შრომითი
საქმიანობაში პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პატიმრებზე უნდა იყოს ნათლად
განსაზღვრული ხელისუფლებასა და დაწესებულებას შორის ხელშეკრულების
სტანდარტულ ფორმაში. განსაკუთრებულ შემთხვევებში, სახელმწიფომ უნდა
შეინარჩუნოს ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმები, როდესაც საქმე ეხება
საზოგადოების უსაფრთხოებას.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrate to Unlimited Pages and Expanded Features

ბროცესო კოდექსი, რომელიც მოიცავს გაწერილ
ღ ნუსხას არასაპატიმრო იძულებით ღონისძიებებზე.
არლამენტის მიერ კოდექსი სწრაფად უნდა იყოს მიღებული და მისი განხილვა ჩატარდეს ღია და საჯარო ფორმით.

2.4. ინფრასრუქტურის განვითარება

სასჯელაღსრულების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება უნდა გაგრძელდეს თავისუფლება აღკვეთილ პირთა მოთხოვნების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

3. პატიმრების სამართლებრივი დაცვა

ახალი პატიმრობის კოდექსი უნდა შეიცავდეს ცალკე თავს პატიმრების მიმართ დისციპლინარულ სამართალწარმოებაზე და პატიმრების საჩივრების განხილვის პროცედურებზე.

დისციპლინარული სამართალწარმოება უნდა ითვალისწინებდეს ყველა საერთაშორისოდ აღიარებულ გარანტიებს სამართლიან სასამართლოზე და უნდა წარიმართოს იმ კუთხით, რომ უზრუნველყოფდეს გამოსასწორებელი დაწესებულებიდან სათანადო დისციპლინასა და სწრაფ რეაგირებას. ამავე დროს, მოსმენისა და გასაჩივრების პროცედურები უნდა გახდეს უფრო გამჭვირვალე და ეფექტიური, ხოლო გასაჩივრების შესაძლებლობები უნდა იქნეს გაფართოებული ორივე საფეხურზე, როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს, ასევე ადმინისტრაციულ სასამართლოებში.

პატიმართა საჩივრების განხილვის პროცედურა უნდა იყოს უფრო ეფექტური, სწრაფი და უზრუნველყოფილი ისეთი სამართლებრივი გარანტიებით, როგორც ეს არის გათვალისწინებული საერთაშორისო სტანდარტებით. გასაჩივრების მექანიზმები უნდა გაფართოვდეს და მოიცავდეს არამარტო ჩვეულებრივ საჩივრებს დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ ცუდ მოპყრობასთან დაკავშირებით, არამედ ზოგად საჩივრებს საცხოვრებელი პირობების შესახებ. საჩივარზე პასუხის გაცემის ვადები, ასევე შემთხვევები საჩივრების კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს.

4. ინსპექტირება და მონიტორინგი

ეროვნული პრევენციური მექანიზმი (სახალხო დამცველის ოფისის ეროვნული პრევენციური ჯგუფი) უნდა წარმოადგენდეს ერთგვარ მექანიზმს პატიმრების დათვალიერებასა და მონიტორინგის საკითხში, როგორც ეს არის გათვალისწინებული საერთაშორისო სტანდარტებით, და უნდა მოიცავდეს ზედამხედველობის შესაბამის სტანდარტებს პატიმრების ცუდად და სასტიკად მოპყრობისგან დაცვის მიზნით.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

პრობაციის ეროვნულ სამსახურს აქვს მხოლოდ სამი ოფისი სამტრედიაში, მცხეთასა და თბილისში, სხვა ადგილებში პრობაციის თანამშრომლები არ არიან უზრუნველყოფილნი სტაბილური სამუშაო გარემოთი. საქართველოში პრობაციის ეროვნული სამსახურისათვის განკუთვნილი ინვესტიცია მისი არსებობის მანძილზე წარმოადგენდა 20 000 ლარს. თითქმის ყველა ტექნიკური მოწყობილობა არის მოძველებული და საჭიროებს ახლით ჩანაცვლებას.

პრობაციის სამსახურში მუშაობს 140 მოხელე, მათ შორის 87 პრობაციის ოფიცერი. საქმეთა რაოდენობა პრობაციის ოფიცრებზე მერყეობს და საშუალოდ შეადგენს 600 საქმეს ერთ ოფიცერზე. თანამშრომელთა 80% არის გადამზადებული, მათთვის ყოველწლიურად ტარდება სასწავლო კურსები/ტრენინგები. თუმცაღა, არ არსებობს სპეციალური გადამზადების კურსები ახალი თანამშრომლებისთვის და ასევე პერსონალის განათლება სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩასატარებლად არასაკმარისია.

სამსახურის ტექნიკურ უზრუნველყოფაში არსებული პრობლემებისა და პრობაციის ოფიცრებზე დიდი რაოდენობის საქმეების არსებობის გამო, შეზღუდულია ახალი სამუშაო მეთოდოლოგიის გამოყენება და განვითარება.

1. ადმინისტრაციული შესაძლებლობებისა და სტრუქტურის განვითარება

პრობაციის სამსახურის სტრუქტურა და სამართლებრივი სტატუსი უნდა განისაზღვროს და შეიცვალოს ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ხელშეწყობით. პრობაციის სამსახური ცალკე ერთეულად უნდა დაექვემდებაროს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურდიული დახმარების სამინისტროს, საქართველოს საჯარო ადმინისტრირების პრინციპებისა და პრობაციის სამსახურის მიზნების შესაბამისად. სტრუქტურული წყობა ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ხელს უნდა უწყობდეს პრობაციის ოფიცრებს განახორციელონ თავიანთი სამუშაო.

ზედამხედველობის ხარისხი უზრუნველყოფილი უნდა იყოს პრობაციის ოფიცრებისათვის ინვესტირების მეშვეობით ხელშემწყობი სამუშაო გარემოს შექმნის გზით. სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად უნდა იქნეს გათვალისწინებული კომუნიკაციისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო ხარჯები. უნდა შეიქმნას რეგიონალური პრობაციის 12 ბიურო. ეს ბიუროები უნდა იქნენ უზრუნველყოფილი კეთილმოწყობილი საოფისე ფართებით, რომელიც აღჭურვილი იქნება კომპიუტერებით, ინტერნეტითა და ტელეფონებით. რეგიონალური ოფისების ქვე-დანაყოფების (53) სტრუქტურა უნდა განისაზღვროს და შეიცვალოს. გადაწყვეტილებები სტრუქტურული ქვე-დანაყოფების ადგილმდებარეობა უნდა განისაზღვროს გეოგრაფიული მდებარეობის, ორგანიზაციული საკითხებისა და პრობაციონერთათვის, პარტნიორებისა და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის პრინციპის გათვალისწინებით.
რეგიონალური პრობაციის ბიუროს საჭიროება, მისი ადგილმდებარეობა და თანამშრომელთა რაოდენობა უნდა განიხილებოდეს ყოველწლიურად პრობაციის სამსახურის პრიორიტეტებისა და მოსალოდნელ საქმეთა რაოდენობის გათვალისწინებით. პროგნოზი მათი საქმიანობის შესახებ ტარდება ყოველწლიურად. ქვეყნის მაშტაბით, საქმეთა რაოდენობა ერთ პრობაციის ოფიცერზე, საშუალოდ 3 წელიწადში უნდა შეადგენდეს 100-120 პრობაციონერის საქმეს.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ობესება

ექსპერტების ერთობლივი მონაწილეობით უნდა გაკეთდეს ანალიზი იმ საკანონმდებლო სისტემაში, რომელიც არეგულირებს პრობაციის სამსახურის საქმიანობას, სამუშაო პროცესსა და მის ორგანიზაციას.

ასევე უნდა განიხილებოდეს იმ სანქციების სია, რომელსაც პრობაციის სამსახური აღასრულებს. პრობაციის სამსახური უნდა წყვეტდეს მხოლოდ საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების აღსრულების საკითხებს, რაც გულისხმობს მსჯავრდებულზე მეთვალყურეობას. სამსახური არ უნდა მუშაობდეს იმ არასაპატიმრო სანქციებისა და ზომების აღსრულებაზე, რომელიც არ შეიცავს რეაბილიტაციის ელემენტებს და გამოსასწორებელ სამუშაოებში პრობაციის ოფიცრების ჩართულობას. დარეგულირებული უნდა იქნეს სანქციების პრაქტიკაში აღსრულება. პრობაციის სარეაბილიტაციო კომპონენტი გამყარებული უნდა იქნეს კანონმდებლობით.

განხილული უნდა იქნეს ახალი მეთოდები, როგორიცაა პრობაციის ოფიცრის ანგარიში ბრალდებულის პიროვნებისა და ცხოვრების პირობების შესახებ, რომელიც წარედგინება სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე, ასევე აცილების საშუალებები და მეთვალყურეობა ელექტრონული მონიტორინგის საშუალებით. ამასთანავე, პრობაციის სამსახურმა უნდა დანერგოს ახალი ალტერნატიული სანქციები.

3. კვალიფიციური მუშახელის რაოდენობის გაზრდა

პრობაციის სამსახურის შესაძლებლობები ადამიანური რესურსების მართვის სფეროში უნდა გაუმჯობესდეს. თანამშრომლების აყვანის პროცესი, თანამდებობრივი ინსტრუქცია და თანამშრომელთა უნარ-ჩვევები და სასწავლო პროგრამები შემუშავდეს და დაინერგოს.

პრობაციის სამსახური უნდა იყოს კვალიფიციური სპეციალისტებით. სხვადასხვა პროფესიული უნარების, გამოცდილებისა და განათლების მქონე თანამშრომლები უნდა შეირჩნენ და დაინიშნონ სხვადასხვა პოზიციებზე.
პრობაციის სამსახურისთვის სასწავლო სტრატეგია უნდა იქნას შემუშავებული და განხორციელებული წლიური სასწავლო გეგმის გზით. პრობაციის ოფიცრებისათვის განსაზღვრულ ტრეინინგში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს მათი უნარ-ჩვევების განვითარებას მოახდინონ დანაშაულის პრევენცია და თავიდან აიცილონ პრობაციონერების დანაშაულებრივი ქმედება. სასწავლო პროგრამის სისტემა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებები უნდა განვითარდეს. სასწავლო პროგრამები განხორციელდეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით.

პრობაციის სამსახურის განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს არასრულწლოვნებთან და ახალგაზრდა დამნაშავეებთან მუშაობას. თითოეულ რეგიონალურ ოფისს უნდა ყავდეს სულ მცირე 1 კვალიფიციური, კარგად მომზადებული თანამშრომელი, რომელიც იმუშავებს კონკრეტულ სამიზნე ჯგუფთან და კონსულტაციას გაუწევს დანარჩენ თანამშრომლებს.

4. მეთვალყურეობის სისტემის გაუმჯობესება

პრობაციის სამსახურში უნდა შემუშავდეს და დაინერგოს სპეციალური ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელს შეუწყობს პრობაციის ოფიცერს სამუშაოს წარმატებით განხორციელებაში. მონაცემთა ბაზა შეიცავს საქმეთა ჩანაწერებს და მონაცემთა შეგროვების სისტემას, რომელიც დაკავშირებულია ცენტრალურ სისტემასთან. იმისათვის,

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ბდეს ტექნიკური სამუშაო დატვირთვა (რეგისტრაცია) ნას სისტემის ანგარიშვალდებულება, ადგილზე რი საშუალებები.

მსჯავრდებულის რისკის შეფასების მექანიზმი უნდა იქნეს შემუშავებული, გამოიცადოს და დაინერგოს. პრობაციის ოფიცრებისათვის უნდა შეიქმნას სრულყოფილი და სისტემური სასწავლო პროგრამა, რათა ისინი უზრუნველყოფილ იქნან ადექვატური სწავლებით, ასევე მხარდაჭერით, რომ ეს ცოდნა გამოყენებულ იქნას პრაქტიკაში. უნდა შემუშავდეს, შეფასდეს და მიღებულ იქნას სტანდარტები, რომლებიც დაკავშირებულია პრობაციის ოფიცრების საქმეების რაოდენობასთან, მსჯავრდებულის რისკებისა და საჭიროებების შეფასებასთან.

საქმეთა მართვის სისტემა უნდა იყოს ადგილებზე, სტანდარტული სამუშაო პროცესები ზუსტად უნდა იქნეს გაწერილი მსჯავრდებულებზე ზედამხედველობის მიზნით. სამსახურის თანამშრომლები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოებით. მსჯავრდებულებზე ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური სამეთვალყურეო გეგმის მიხედვით.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არის სასჯელის განხორციელებადი ზომა და იგი ფართოდ უნდა იქნეს გამოიყენებული. შესაძლებლობა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განხორციელებისათვის საღამოს საათებში და უქმე დღეებში შექმნილია. კავშირი ციხესა და პრობაციას შორის გაძლიერებულია ერთობლივი ქმედებებითა და ინფორმაციის გაცვლით, პრობაციის ოფიცრები უნდა მონაწილეობდნენ ვადამდელი გათავისუფლებისათვის მზადების პროცესში.

მუდმივად განახლებადი ინფორმაცია საზოგადოებისათვის სასარგებლო სასჯელებისა და ზომების განხორციელებასა და მათ ეფექტურობაზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის ინტერნეტის, ბეჭდური გამომცემლობებისა და მედიის საშუალებით.

5. სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავება და საზოგადოების ჩართულობის გაზრდა

პროგრამებისა და სხვა სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელება პრობაციის ოფიცრების ძირითად ამოცანებს მიეკუთვნება. სარეაბილიტაციო პროგრამა მსჯავრდებულებისაგან შემდგარი ჯგუფებისათვის უნდა შემუშავდეს და გამოცდილ იქნას პრობაციის ოფიცრების მიერ, განსაკუთრებით მაღალი რისკის მქონე პრობაციონერების გათვალისწინებით.
უპირველესი მიზანი მდგომარეობს მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულების დადგენაში. პრობაციის ოფიცრები განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდნენ მსჯავრდებულების ზრდად ჩართულობას პრობაციის პერიოდის დაგეგმარებასა და განხორციელებაში.

უნდა მოხდეს არასამთავრობო სექტორის მოზიდვა, რათა ითანამშრომლონ პრობაციის ოფიცრებთან. ყველა რეგიონში უნდა განხორციელდეს პილოტური პროექტები, რომლებიც მიმართული იქნება პრობაციონერების რეაბილიტაციაზე. შეიქმნას მოხალისე პრობაციის ოფიცრების მონაწილეობისა და ჩართულობის სისტემა, თითოეულ რეგიონს უნდა ჰყავდეს მოხალისეების გარკვეული რიცხვი.

საზოგადოების მონაწილეობისა და პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით, ყოველწლიურად უნდა ჩატარდეს ძირითად პარტნიორებთან რეგულარული შეხვედრები რეგიონალურ და სახელმწიფო დონეზე. პრობაციის ოფიცრები მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ ადგილობრივ თვითმმართველობებთან და შესაბამის

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ის რომ გათვალისწინებულ იქნას პრობაციონერთა
ის პრევენციის უფრო უსაფრთხო გარემო.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა საქართველოში 2005 წელს დაიწყო. 2007 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი იურიდიული დახმარების შესახებ, რაც რეფორმის ახალი ფაზის დასაწყისად იქცა. კანონის საფუძველზე 2007 წლის ივლისში იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში იურიდიული დახმარების სამსახური შეიქმნა. 2009 წლის 1 თებერვლიდან იურიდიული დახმარების სამსახური საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში აგრძელებს საქმიანობას საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით.

დღეისათვის სამსახური თავისი 10 იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმებული ადვოკატების მეშვეობით საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფს იურიდიულ დახმარებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში.

დახმარება მოიცავს სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულის, ბრალდებულის, განსასჯელისა და მსჯავდებულის[9] დაცვას წინასწარი გამოძიების დროს და საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, ასევე ადვოკატის მონაწილეობას ფსიქიატრიული მკურნალობის იძულებით შეფარდების საკითხის განხილვისას[10]. გარდა ამისა, ყველა მოქალაქეს მისი სოციალური სტატუსის მიუხედავად შესაძლებლობა აქვს მიმართოს საკონსულტაციო ცენტრებს[11] და კვალიფიციური იურიდიული კონსულტაცია მიიღოს მისთვის საინტერესო იურიდიულ საკითხებზე, საჭიროების შემთხვევაში კონსულტანტი სამართლებრივ დოკუმენტებსაც შეუდგენს მოქალაქეს.

2008 წლის განმავლობაში იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურებით ათასობით ადამიანმა ისარგებლა. კერძოდ:
- ადვოკატი დაინიშნა 10 218 სისხლის სამართლის საქმესა და 978 ფსიქიატრიული მკურნალობის იძულებით შეფარდების საკითხის სასამართლოში განხილვასთან დაკავშირებით
- გაწეულ იქნა 4 765 იურიდიული კონსულტაცია
- შედგენილ იქნა 1 134 სხვადასხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტი

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის კონკურსის გზით ფორმირება 2009 წლის აპრილში დასრულდა. რეესტრი, სადაც 123 ადვოკატია ჩარიცხული მიმდინარე წლის მაისიდან ამოქმედდა. მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატები სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში იცავენ კანონით უფლებამოსილ პირებს. შესაბამისად, რეესტრი მომსახურება შედარებით ახალი სახის სერვისია, რომელიც მოითხოვს ეტაპობრივად სისტემის დახვეწასა და ჰარმონიზაციას იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობასთან.

---

9 ადვოკატის დახმარება სისხლის სამართლის პროცესში უზრუნველყოფილია მხოლოდ გადახდისუუნარო პირთათვის, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა (მუხლი 71-ე, 81-ე) და რამდენიმე სხვა საკანონმდებლო აქტით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში - პირის მატერიალური მდგომარეობის მიუხედავად.
10 საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-V[14] თავი
[11] საკონსულტაციო ცენტრი მოქმედებს ყოველ ბიუროსთან, გარდა ამისა 2 საკონსულტაციო ცენტრი დამოუკიდებლად ახორციელებს თავის ფუნქციებს ოზურგეთსა და ამბროლაურში.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა
იურიდიული დახმარების ბიუროსა და ახალქალაქის
ელთა გახსნა მიმდინარე წლის განმავლობაშია
დაგეგმილი) თანამშრომლებიც.
2008 წლის ბოლოსთვის ამოქმედდა იურიდიული დახმარების სამსახურის ვებ გვერდი www.legalaid.ge .

2008 წლის ბოლოს დასრულდა სამსახურისა და მისი ბიუროების საქართველოს ერთიან სამთავრობო ქსელში (GGN) ჩართვის პროცესი. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედი VPN ტიპის კომპიუტერულმა ქსელმა ონლაინ რეჟიმში დააკავშირა ერთმანეთთან სამსახურის ოფისები, რამაც ელექტრონული მონაცემების მიმოცვლა საგრძნობლად გაამარტივა. იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშომლები აღჭურვილი არიან ლიცენზირებული პროგრამებით, მათ შორის "კოდექსი"-ს პროგრამით, უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნიკით.

ამასთან, 2009 წლის თებერვალში დასრულდა მუშაობა საქმის მენეჯმენტის კომპიუტერულ პროგრამაზე, რომლის მთავარი დანიშნულება ადვოკატთა საქმიანობის გამარტივება და იურიდიული დახმარების სისტემაში სტატისტიკური მონაცემების დამუშავების ეფექტური მექანიზმის შექმნაა. 2009 წლის განმავლობაში მოხდება აღნიშნული სისტემას დანერგვა იურიდიული დახმარების ყველა ოფისსში.

1. იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

იურიდიული დახმარების სამსახურის სამართლებრივი მომსახურების მოსახლეობის საჭიროებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, შემდეგი ღონისძიებების გზით:

1.1. იურიდული დახმარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარება

მოქალაქეებთან კონფიდენციალურად საუბრისა და რამდენიმე მოქალაქისთვის ერთდროულად მომსახურების გაწევის მიზნით შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა. სამსახურის შეძლებისდაგვარად ყველა ოფისის ინფრასტრუქტურის განვითარება, რომ მოქალაქეს, რომელიც მიმართავს იურიდიული დახმარების სამსახურს ღირსეული გარემო დახვდეს; ასევე ყველა თანამშრომელს ჰქონდეს სათანადო სამუშაო პირობები თავის ფუნქციათა ჯეროვნად შესრულებისათვის.

1.2. თანამედროვე ტექნოლოგიები

იურიდიული დახმარების სამსახურში ინფორმაციის გაცვლის მექანიზმის სრულყოფა, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება.

იურიდიული დახმარების ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების ბიბლიოთეკების გაძლიერება.

1.3. დამატებითი ოფისის გახსნა, ეთნიკური უმცირესობების ინტერესების გათვალისწინებით

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული დახმარების ბიუროები უკვე საქართველოს 10 სხვადასხვა რეგიონში ფუნქციონირებენ, დარჩენილია დარჩენილია სამცხე-ჯავახეთის

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ბის უმრავლესობას ეთნიკური უმცირესობის

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის იურიდიული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური ბიუროს გახსნა ახალციხეში. ასევე საკონსულტაციო ცენტრის ჩამოყალიბება ახალქალაქში, აღნიშნულ რეგიონში ეთნიკური უცმირესობებისათვის იურიდულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

1.4. იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის მანდატის გაზრდა

2010 წლიდან ძალაში შევა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც შეჯიბრებითობის პრინციპზეა აგებული, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ადვოკატის როლს სისხლის სამართლის პროცესში.

ამასთან, მომავალ წელს ძალში შევა ახალი პატიმრობის კოდექსი, რომელიც ახლებურად არეგულირებს პატიმართა დისციპლინარული პასუხისგებლობის საკითხს, ახალი პატიმრობის კოდექსის ძალაში შესვლისთანავე უფასო იურიდიული დახმარების მიღების საშუალება ექნება იმ პატიმარს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება. . ხოლო 2011 წლის 1 იანვრიდან წარმომადგენლობის უზრუნველყოფა მოხდება იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით, რასაც სანქციად თავისუფლების აღკვეთა მოჰყვება.

აღნიშნულიდან გამომდინარე,არსებულ თანამშრომელთა დატვირთვის მოსალოდნელი ზრდის გათვალისწინებით, მოხდება საჭიროებათა შეფასება, რასაც აუცილებლობის შემთხვევაში მოყვება თანამშრომელთა რაოდენობის ზრდა.

1.5. მოწვეულ საზოგადოებრივი ადვოკატთა ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფა

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ წარმოებული მონაცემთა ბაზაა იმ ადვოკატებისა, რომლებმაც სურვილი განაცხადეს სახელმწიფო სისტემის ფარგლებში, საბიუჯეტო ანაზღაურების საფუძველზე გაუწიონ საადვოკატო მომსახურება. მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატის გამოყენება ხდება, იმ შემთხვევაში, როდესაც ბიუროს დახმარებისთვის მიმართავენ დაპირისპირებული მხარეები ან სისხლის სამართლის საქმე მრავალბრალდებულიანი/მრავალგანსასჯელიანია და არსებობს დასაცავ პირთა შორის ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის რისკი, ასევე, იმ რეგიონში სადაც არ ფუნქციონირებს იურიდიული დახმარების ბიურო, მოწვეულ საზოგადოებრივი ადვოკატის საქმეში ჩართვა განხორციელდება საკონსულტაციო ცენტრის მეშვეობით.

2. მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა

გაწეული იურიდიული დახმარების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისა და გუნდური სამუშაო გარემოს ხელშეწყობა.

2.1. იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა ქცევის შიდა წესების შემუშავება

ვინაიდან ამ ეტაპზე იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მიერ ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში სხვადასხვა

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ორთა დახმარება, სამსახურის მიერ უნდა დაიხვეწოს
ური სტანდარტებზე, რომელთა დაკმაყოფილება და
ავალდებულო იქნება ყველა საზოგადოებრივი
ადვოკატისათვის.

2.2. ადამიანური რესურსების/მენეჯმენტის სისტემას გამართვა

იურიდული დახმარების სამსახურის მიერ მაღალკვალიფიციური მომსახურეობის გაწევის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს პროფესიული კადრების შერჩევა, მოზიდვა და გადამზადება. აგრეთვე, გაწეული სამართლებრივი მომსახურების ხარისხზე მონიტორინგის მექანიზმებისა და თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემის დახვეწა და დანერგვა.

მაღალკვალიფიციური კადრების ფორმირების უზრუნველსაყოფად სამსახურში მიღების უნიფიცირებული მექანიზმის შემუშავება და დანერგვა. ასევე მომავალი კვალიფიციური კადრების მომზადება სტაჟირების პროგრამების განხორციელებისა და იურიდიული კლინიკების ხელშეწყობის გზით.

2.3. თანამშრომელთა მუდმივი პროფესიული გადამზადება

იმისათვის, რათა საკანონმდებლო გარემოს სწრაფი ცვლილებების შესახებ თანამშრომელთა და მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა დროული ინფორმირება მოხდეს საჭიროა პროფესიული ტრეინინგების დანერგვა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ სამართლებრივ საკითხებზე, რომელთა შესახებ აუცილებელია იურიდიული დახმარების სისტემაში დასაქმებულ ადამიანთა ინფორმირება მათ მიერ გაწეული მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

3. საზოგადოების ინფორმირებულობა

გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით საზოგადოების მუდმივი ინფორმირებულობა იურიდული დახმაების სამსახურის საქმიანობაზე, მიმდინარე სიახლეებზე და განხორციელებულ ღონისძიებებზე.

აგრეთვე, საზოგადოების ინფორმირება უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობისა და იურიდული დახმარებით სარგებლობის პირობების შესახებ. მათ შორის იურიდიული დახმარების სამსახურის ვებ გვერდის მეშვეობით და იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონალური ოფისების განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების გზით.

თანამშრომლობის გაძლიერება ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, აგრეთვე საგანმანათლებლო ორგანოებთან.

4. იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭო

იურიდიული დახმარების შესახებ კანონის თანახმად საბჭო 7 წევრისაგან უნდა დაკომპლექტდეს, რომელთაც ნიშნავს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი. საბჭოს ჩამოყალიბება და მისი ხელშეწყობა

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

დიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებლობის, ფექტურობისათვის.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ური სტატუსი

კონსტიტუციური თვალსაზრისით, საქართველოს პროკურატურა შედის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში. მის სათავეშია მთავარი პროკურორი, რომლის კანდიდატურას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი იუსტიციის მინისტრის წარდგინებით. მთავრობის გადადგომა არ იწვევს გენერალური პროკურორის გადადგომას.

კონსტიტუციური სტატუსის მიუხედავად, ფუნქციონალურად პროკურატურა დამოუკიდებელია. არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელ ხელისუფლებას არ აქვთ უფლებამოსილება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით დავალებები მისცენ პოკურატურას. სასამართლო ხელისუფლებასთან ურთიერთობა დაფუძნებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაზე მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით.

2. პროკურატურის სისტემის ორგანიზაცია

პროკურატურის სისტემის მართვის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად და საზოგადოების მხრიდან პროკურატურის სამსახურზე მეთვალყურეობის გაძლიერების მიზნით პროკურატურის სისტემაში შეიქმნება დამოუკიდებელი ორგანო - პროკურატურის საბჭო. პროკურატურის საბჭო დაკომპლექტდება აღმასრულებელი ორგანოების, პროკურატურის სისტემის, საკანონმდებლო ხელისუფლების, აკადემიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

პროკურატურის საბჭოს ძირითადი ფუნქცია იქნება პროკურორთა თანამდებობაზე დასანიშნ პირთათვის კონკურსის ორგანიზება, ამავე დროს, საქართველოს გენერალური პროკურორის მხარდაჭერა პროკურატურის სისტემის ეფექტურ მართვაში.

3. პროკურატურის ფუნქციები

პროკურატურა შეინარჩუნებს მის ძირითად ფუნქციას, რაც გამოიხატება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასა და წინასასამართლო გამოძიებაზე ზედამხედველობაში. საპროცესო კანონმდებლობის შეცვლასთან ერთად გაძლიერდება პროკურორის, როგორც წინასასამართლო გამოძიებაზე ზედამხედველის ინსტიტუტი.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებით იგეგმება სისხლისსამართლებრივი დევნის დისკერეციულობის ინსტიტუტის შემოტანა. კერძოდ, მცირე მნიშვნელობის საქმეებზე პროკურორს ექნება დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თვალსაზრისით. დისკრეციული დევნის სისტემის ჩამოყალიბების დროს გათვალისწინებული იქნება დაზარალებულის ინტერესები.

საქართველოს მთავარი პროკურატურა, როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნაწილი, ასევე განახორციელებს სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულთან ბრძოლის კოორდინაციას.

ერთიანი საინფორმაციო-ანალიტიკური და სტატისტიკის სამსახური, განახორციელებს საქართველოში მომხდარი ყველა დანაშაულის სტატისტიკის წარმოებას და მათი ანალიტიკურ კვლევასა და ასევე დანაშაულთა დინამიკის კრიმინოლოგიური ანალიზს.

4. პროკურორთა მიმართ დისციპლინარული დევნის განხორციელება

პროკურორთა მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში დისციპლინარულ დევნას განახორციელებს პროკურატურის სამსახურის გენერალური ინსპექცია, რომელსაც ხელმძღვანელობს მთავარი პროკურორის მოადგილე.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ების დროს გენერალური ინსპექცია დამოუკიდებელია. ამ პროკურორებს ექნებათ უფლება დისციპლინური ი ინფორმაცია მიაწოდონ გენერალურ ინსპექციას. გენერალური ინსპექცია არ არის შეზღუდული მოცემული ინფორმაციით და დამოუკიდებლად ატარებს დისციპლინურ წარმოებას.
დისციპლინური გადაცდომები და შესაბამისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება საკანონმდებლო აქტებით. განისაზღვრება დისციპლუნურ გადაცდომებზე პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადა.
სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედების (დანაშაულის) ჩადენისას, პროკურორი პასუხს აგებს საერთო წესით, იმ გამონაკლისით, რომ მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ დევნას აღძრავს მხოლოდ მთავარი პროკურორი. საქმის გამოძიებას აწარმოებს მხოლოდ საქართველოს პროკურატურის სამსახურის წარმომადგენლები.

5. საზოგადოებრივი პროკურატურა

საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტები უნდა გავრცელდეს პროკურატურის სამსახურის სხვადასხვა რეგიონალური ოფისების მასშტაბით. საზოგადოებრივი პროკურატურის სქემები გულისხმობს ადგილობრივი პროკურორების ფოკუსირებას ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობაზე დანაშაულისა თუ პოტენციური დანაშაულებრივი პრობლემის მოგვარებაში დანაშაულის პრევენციული მიდგომების მეშვეობით, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების, სკოლებში ვიზიტების, სოციალური ღონისძიებების, ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოსა და სხვა პროგრესული საშუალებების დახმარებით ადგილობრივი პროკურატურის ოფისები უკეთ შეძლებენ უპასუხონ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებს. ამასთან, წინამდებარე ღონისძიებები ხელს უწყობს პროკურატურის სამსახურისა და ზოგადად სისხლის სამართლის სისტემის მიმართ ინფორმირებულობისა და ნდობის გაზრდას.
ამჟამად, საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტები ხორციელდება პროკურატურის 7 რეგიონალურ ოფისში თბილისში, მცხეთაში, ახალციხეში, ზესტაფონში, ოზურგეთსა და შუახევში. ეს გრძელვადიანი პროექტები სავარაუდოდ რამდენიმე წელიწადს გაგრძელდება. ამ პროექტებს საფუძვლად უდევს საზოგადოებრივ პროკურატურაში წარმატებული გამოცდილება და ძალისხმევა. წინამდებარე პროექტები ძირითადად მიმართულია საზოგადოებაში დანაშაულებრივი პრობლემების შემცირებისკენ ალტერნატიული ზომების მიღების გზით.

6. მსხვერპლთა დახმარების განყოფილებები

დანაშაულის მსხვერპლთა დახმარების ცენტრები არის იუსტიციის სამინისტროსა და იურიდიული დახმარების სამსახურის ერთობლივი პროექტი. ეს შორს გამიზნული ინიციატივა ითვალისწინებს პროკურატურის სამსახურის როლის რაციონალურად გაზრდასა და მისი სამსახურის გაძლიერებას დანაშაულის მსხვერპლთა უშუალო ინტერესების გათვალისწინებით. ეს მოიცავს კონსულტაციებს, ხელმძღვანელობასა და რეფერალურ მექანიზმს.
დახმარების ცენტრების წარმატებული საქმიანობა მიზნად ისახავს დანაშაულის მსხვერპლთა მიმართ გაწეული სამსახურისა და საზოგადოებაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების უწყებების აღქმის გაუმჯობესებას.
თავდაპირველად, 3 პილოტური დახმარების ცენტრის შექმნაა დაგეგმილი პროკურატურის თბილისის, ქუთაისისა და მცხეთის ოფისებში. ცენტრში დასაქმდებიან კვალიფიციური და პროფესიონალი კადრები, რომელთაც ექნებათ საფუძვლიანი ტრეინინგები გავლილი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებსა და ფსიქოლოგიური ტრამვის დროს აღმოსაჩენ პირველად დახმარებაში. დანაშაულის მსხვერპლთან კონტაქტის შემდგომ, სპეციფიური სიტუაციის გათვალისწინებით, ცენტრის თანამშრომელი :

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

სულტაციას მსხვერპლის პროცედურული [illegible]ებ.

- უზრუნველყოფს პირველად პასუხის გაცემასა და აგვარებს დანაშაულის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს.
- უზრუნველყოფს შეხვედრის ორგანიზებას შესაბამის სამართალდამცავ პირთან ან პირებთან, აწვდის ინფორმაციას დანაშაულებრივ საქმეებზე და
- ასევე რეკომენდაციას უწევს იურიდიული დახმარების სამსახურსა და სხვა შესაბამისი დახმარების გამწევ დაწესებულების შესახებ.

ამასთან, ცენტრი დანაშაულის მსხვერპლს გაუწევს ერთჯერად დახმარებას ინფორმირების თვალსაზრისით იმ უწყებებისა და პროექტების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ დანაშაულის მსხვერპლთა სპეციფიურ საჭიროებებზე პასუხის გაცემას.

7. პროკურორთა პროფესიული განვითარება

იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ტრეინინგ ცენტრი ყურადღებას ამახვილებს პრაქტიკაზე ორიენტირებულ, არა აკადემიურ და ინოვაციურ საკითხებზე, როგორიცაა პატიმრობის ჯაჭვი, დისკრეციული გასამართლება, გასამართლები ეთიკა, სასამრთლოს უნარ-ჩვევები, იურიდიული დოკუმენტების წერის უნარები და ასე შემდეგ.
ტრეინინგების მეშვეობით პროკურორთა პროფესიული განვითარება გაიზრდება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.
ტრეინინგ ცენტრი დანერგავს და განახორციელებს დისტანციური სწავლების სქემებს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტთან თანამშრომლობით. ეს საშუალებას მისცემს ცენტრს შეამციროს პროკურორთათვის განკუთვნილი ტრეინინგების ხარჯები, ამასთანავე გაზრდის კონტროლს სწავლების ოდენობასა და შეფასებაზე.
ამასთანავე, დაგეგმილია პროკურორების მიერ 2004 წლიდან დღემდე მიღებული ყველა ტრინინგის შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა და შეგროვილი მონაცემების ანალიზი შესაბამის საჭიროებათა იდენტიფიცირებისათვის. ხარისხებს და სხვა ინდიკატორებს, როგორიც არის წარმატებისა და/ან დასწრებისა მაჩვენებლები განკარგავს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი. აღნიშნული შეფასების მექანიზმი გავლენას მოახდენს პროკურორთა მომავალ პროფესიულ კარიერაზე.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

პოლიციის რეფორმის ძირითადი ამოცანები

პოლიციის სისტემის შემდგომი რეფორმირებისა და დახვეწის მიზანია, ძირითადი სისტემური რეფორმის შედეგად მიღწეული პროგრესის შენარჩუნება და გაღმავება; პერსონალის უნარ-ჩვევების შემდგომი განვითარებით დანაშაულის პრევენციისა და საგამოძიებო პრაქტიკის სტანდარტის ამაღლება; სახელმწიფო საზღვრების უსაფრთხოების სისტემის შემდგომი დახვეწა და განვითარება; პოლიციის საქმიანობისა და რეფორმების პროცესის მიმდინარეობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

პოლიციის რეფორმის მონახაზი

რეფორმა მოიცავს პოლიციის საქმიანობის ყველა მნიშვნელოვან მიმართულებას, მათ შორის: 1) სტრატეგიული დონის ორგანიზაცია; 2) შიდა კონტროლის მექანიზმები; 3) ტაქტიკურ-ოპერატიული დონის ორგანიზაცია; 4) ადამიანური რესურსების განვითარება 5) ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის განვითარება; 6) ადამიანის უფლებების დაცვა; 7) საზოგადოებასთან ურთიერთობა და დანაშაულის პრევენცია.

1. სტრატეგიული დონე: შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზაცია

შსს ცენტრალური აპარატი წარმოადგენს მართვის სტრატეგიულ დონეს და პასუხისმგებელია უწყების კომპეტენციის ფარგლებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საამართალდამცავ სფეროში საერთო პოლიტიკის განსაზღვრაზე, მათ შორის: სამართლებრივი, საკადრო, სტრუქტურული, ორგანიზაციული და საბიუჯეტო კუთხით; ცენტრალური აპარატი აგრეთვე პასუხისმგებელია საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკის განსაზღვრასა და უზრუნველყოფაზე.

შსს მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით ეტაპობრივად გადავა ელ-მართვის სისტემაზე, უზრუნველყოფს არსებული მონაცემთა ბაზების კომპიუტერიზაციას, დანერგავს ინფორმაციის მოპოვების, შენახვის, გაცვლის, დამუშავების, ანალიზის თანამედროვე მეთოდიკას და პროგრამულ უზრუნველყოფას.

2. შიდა კონტროლის მექანიზმები

გენერალური ინსპექცია უშუალოდ ექვემდებარება მინისტრს და პასუხისმგებელია მის წინაშე, როგორც შიდა კონტროლის ორგანო. გენერალური ინსპექცია ახორციელებს დისციპლინურ დევნას და სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად საქმეს გადასცემს პროკურატურას.

გენერალური ინსპექცია უზრუნველყოფს საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსის განხორციელებაზე კონტროლს.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ნერალური ინსპექციისთვის ინფორმაციის მიწოდება ბის დარღვევის, მათთვის ცნობილი პოლიციელთა უკანონო ქმედების და ა.შ. ფაქტების შესახებ.

3. ტაქტიკურ-ოპერატიული დონე

ტაქტიკურ-ოპერატიულ დონეზე სამინისტრო დაყოფილია სამ მიმართულებად: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიმართულება, სასაზღვრო მიმართულება, უსაფრთხოების მიმართულება.

მინისტრის მოადგილეებს (მიმართულების ხელმძღვანელებს) მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი. მიმართულების ხელმძღვანელები, ბრძანებებს იღებენ მინისტრისაგან და პასუხისმგებელი არიან მის წინაშე.

3.1 საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიმართულება

3.1.1. საპატრულო პოლიცია

საპატრულო პოლიციის ძირითადი ფუნქციაა მოქალაქეებთან მჭიდრო თანამშრომლობით, მათ შორის საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მეთოდების (ე.წ. "კომუნითი პოლისინგის") გამოყენებით, პატრულირებითა და სხვა შესაბამისი ღონისძიებების გატარებით დანაშაულის პრევენცია და აღკვეთა, ასევე საზღვარზე პიროვნებების გადაადგილებისა და საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა (შსს სასაზღვრო პოლიციასთან ერთად).

შსს მიზანია შეინარჩუნოს და განამტკიცოს საპატრულო პოლიციის მიერ მიღწეული მუშაობის მაღალი სტანდარტი და საზოგადოებრივი მხარდაჭერა. ამ მიზნის მისაღწევად გაგრძელდება საპატრულო პოლიციის მომზადების პროგრამის შემდგომი დახვეწა, შიდა მონიტორინგის ეფექტური ფუნქციონირება, საზღვრის მართვის ინტეგრირებული სტრატეგიის განხორციელება, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან თანამშრომლობის გაღრმავება და სახელმწიფო საზღვრის კონტროლის სტანდარტული საოპარაციო პროცედურების დახვეწა და იმპლემენტაცია.

3.1.2. კრიმინალური პოლიცია

კრიმინალური პოლიცია პასუხისმგებელია დანაშაულის გამოძიებასა და გახსნაზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით. კრიმინალური პოლიცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით მჭიდროდ თანამშრომლობს პროკურატურასთან.

შსს მიზანია ახლად დანერგილი დეტექტივ-გამომძიებლების სისტემის ეფექტურობის უზრუნველყოფა; გაგრძელდება თნამშრომლების (ინსპექტორ-გამომძიებელი, თანაშემწე, დეტექტივ-გამომძიებელი) მომზადება-გადამზადების პროგრამების დახვეწა.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

…საზღვრო მიმართულება

…ის ნაწილი, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს ბუნებრივი საზღვრის, ასევე საზღვაო საზღვრის დაცვაზე. სასაზღვრო პოლიციის უფროსი ამავდროულად არის შს მინისტრის მოადგილე და პასუხისმგებელია მის წინაშე. სასაზღვრო მიმართულება ასევე მოიცავს საპატრულო პოლიციასაც, რომელიც პასუხისმგებელია სასაზღვრო გამტარი პუნქტების ფუნქციონირებაზე და ახორციელებს საზღვარზე პირების გადასვლის კონტროლს.

2009 წლის დასაწყისში განხორციელებული რეფორმის შედეგად სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვაში მიმდინარეობს საქართველოს საზღვაო ძალების ინტერგირების პროცესი.

შსს მიზანია უზრუნველყოს, საპატრულო პოლიციასთან ერთად საზღვრის მართვის ინტეგრირებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია, საქართველოს საზღვაო სივრცის უსაფრთხოება ეფექტური ერთიანი საზღვაო ძალების ჩამოყალიბებით, კადრების მომზადება/გადამზადების უზრუნველყოფა საზღვაო აკადემიასთან არსებული მემორანდუმის საფუძველზე, ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან ბრძოლა, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან ურთიერთქმედების პროცედურების დახვეწია და ფუნქციათა დუბლირების თავიდან აცილება - ”ერთი ფანჯრის” პრინციპის დანერგვა.

3.3. უსაფრთხოების მიმართულება

უსაფრთხოების მიმართულება შედგება სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან უსაფრთხოების მიმართულების ხელმძღვანელი მინისტრის მოადგილის წინაშე. უსაფრთხოების მიმართულების ფუნქციაა სხვა შესაბამის სტრუქტურებთან ერთად უზრუნველყოს სახელმწიფოს დაცვა შიდა და გარე საფრთხეებისაგან.

4. ადამიანური რესურსების განვითარება

კადრების მართვის თანამედროვე სისტემა, მოიცავს პოლიციის თანამშრომლების სამსახურში მიღების, წახალისების, დაწინაურებისა და სამსახურიდან დათხოვნის პროცედურებს. სამინისტროს მთავარ პრიორიტეტად რჩება პერსონალის მუდმივი განვითარება, განგრძობადი სპეციალიზირებული ტრეინინგების ჩატარებით, ასევე ახალი მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა და მათი შემდგომი მომზადება. აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებს შსს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი შსს აკადემიასთან ერთად.

პოლიციაში მიღება ხორციელდება ღია კონკურსის საფუძველზე სავალდებულო ტესტირების, გასაუბრებისა და ფიზიკური ნორმატივების ჩაბარების შემდეგ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემია პასუხიმგებელია ყველანაირი საპოლიციო სწავლებისა და გადამზადების კურსების დაგეგმვასა და წარმოებაზე შინაგან

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ს გათვალისწინებით. საბაზისო სწავლების პროგრამა სტანდარტებთან შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციების და ექსპერტების მონაწილეობით. საბაზისო სწავლების ხანგრძლივობა საშუალებას იძლევა სწავლების განმავლობაში პოლიციელმა შეიძინოს მისი შემდგომი საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარჩვევები. სწავლება მოიცავს თეორიულ კურსს, ისევე როგორც პრაქტიკულ წვრთნებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ინსტრუქტორების ზედამხედველობით.

პოლიციის ოპერატიულ ქვედანაყოფებში მოქმედებს სამსახურებრივი დაწინაურების სქემა, რომელის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს თანამშრომლების გადამზადება პოლიციის აკადემიის ბაზაზე.

სასწავლო დაწესებულება აწყობს და წარმართავს სპეციალიზებულ კურსებს სხადასხვა დანაყოფებისათვის, რეგულარულ შიდასამსახურებრივ სწავლებას პოლიციის ოფიცრებისთვის. სპეციალიზირებული წვრთნები შესაძლებელია განხორციელდეს კონკრეტულ დანაყოფებთან არსებულ საწვრთნელ ბაზაზეც. მიუხედავად სპეციალიზირებული კურსების ჩატარების ადგილისა, სასწავლო პროგრამა შესაბამისობაშია შსს აკადემიის დამტკიცებულ კურიკულუმებთან, დანაყოფის საქმიანობის მიზნებთან და ასახავს მათ საჭიროებებს.

5. ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა

5.1. შენობები და აღჭურვილობა

შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფრასტრუქტურის განვითარებით და აღჭურვილობის პერიოდული განახლებით მუდმივად უზრუნველყოფს თანამშრომლებისთვის სათანადო სამუშაო გარემოსა და პირობებს. პოლიციის აღჭურვილობა და ტექნიკური საშუალებები ხელს უწყობს და უზრუნველყოფს პოლიციელის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების ეფექტურად შესრულებას. სამინისტროს ინფრასტრუქტურა ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს, როგორც ფიზიკური ისე ელექტრონული საიდუმლო ინფორმაციის დაცვას არამართლზომიერი ხელყოფისაგან.

5.2. სამუშაო გრაფიკი

სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში სამუშაო საათები მოწესრიგებულია კანონმდებლობისთან შესაბამისად, პოლიციელის საქმიანობის თავისებურებებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით.

5.3. ანაზღაურება

პოლიციელი იღებს ხელფასს, რომელიც შეესაბამება მისი სამუშაოს თავისებურებებს, ითვალისწინებს დაკავებულ თანამდებობას და დაკისრებულ პასუხისმგებლობებს. პოლიციელი უზრუნველყოფილია სოციალური დაცვის გარანტიებით. იგი სარგებლობს ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევით.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

პოლიციაში წინასწარი დაკავების საკნები პასუხობს დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს. წინასწარი დაკავების საკნები ექვემდებარება სამინისტროს ცენტრალურ აპარატში (ადმინისტრაციის დეპარტამენტი) მოქმედ ადამიანის უფლებათა და მონიტორინგის მთავარ სამმართველოს. მთავარი სამმართველო უზრუნველყოფს წინასწარი დაკავების საკნებში მოთავსებულთა საერთაშორისო ნორმების შესაბამისი რეგისტრაციას, სამედიცინო შემოწმებას, და რეგულარულ მონიტორინგს წინასწარი დაკავების იზოლატორებზე. აღნიშნული სამმართველო გამოვლენილ დარღვევებზე ინფორმაციას მიაწვდის გენერალურ ინსპექციას, რეგულარულად ამუშავებს სტატისტიკურ მონაცემებს.

სახალხო დამცველს და არასამთავრობო ორგანიზაციებს დაუბრკოლებლად შეუძლიათ სამმართველოსთან თანამშრომლობით და/ან დამოუკიდებლად აწარმოონ მონიტორინგი, შსს ადმინისტრაციასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე.

ადამიანის უფლებების დაცვის მთავარი სამმართველო უზრუნველყოფს წინასწარი დაკავების საკნებში მოთავსებულთა ინფორმირებას (საპროცესო უფლებების შესახებ). მთავარი სამმართველო ასევე უზრუნველყოფს წინასწარი დაკავების საკნებში მოთავსებულ პირთათვის საკვების მიწოდებასა და სანიტარული პირობების გაუმჯობესებას.

წინასწარი დაკავების საკნებში პირობების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა ხორციელდება ეტაპობრივად. ამასთანავე მუდმივად მიმდინარეობს უკვე განახლებული/რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და საჭიროების შემთხვევაში ხელახალი რეაბილიტაცია.

წინასწარი დაკავების საკნებში მომუშავე პერსონალი სამსახურში აყვანამდე გადის სპეციალიზირებულ სასწავლო კურსს შსს აკადემიაში. რეგულარულად ტარდება თანამსრომელთა შეფასება და იგეგმება და ხორციელდება გადამზადების კურსები.

7. საზოგადოებასთან ურთიერთობა და დანაშაულის პრევენცია

7.1 საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ინსტრუმენტები

შინაგან საქმეტა სამინისტრო აგრძელებს საპატრულო პოლიციის წარმატებული მოდელის ბაზაზე და შეძენილი (როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო) გამოცდილების საფუძველზე საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ინსტრუმენტის დანერგვას, განსაკუთრებით პოლიციის ადგილობრივი დანაყოფების შიგნით. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ეკისრება ინსპექტორ-გამომძიებლებს.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ტორებ-გამომძიებლები, პოლიციის სისტემის ორი ენსიურ კავშირშია ადგილობრივ მოსახლეობასთან საბაზისო პოლიციურ ძიებებასთან ერთად გადიან სპეციალურ სწავლებას.

7.2. ინსპექტორ-გამომძიებლები

უბნის ინსპექტორები (ინსპექტორ-გამომძიებლები) ექვემდებარებიან ადგილობრივი პოლიციის დანაყოფის ხელმძღვანელს და თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე პასუხისმგებელნი არიან დანაშაულის პრევენციასა და გამოძიებაზე. უბნის ინპექტორი თავისი საქმიანობიდან გამომდინარე ყოველდღიურ კონტაქტშია სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან და ფლობს ამომწურავ ინფორმაციას უბანში არსებულ მდგომარეობაზე.

7.3 კვლევები

შინაგან საქმეთა სამინისტრო ხელს უწყობს დაინტერესებული არასამთავრობო, საერთაშორისო, სახელმწიფო დაწესებულებების მიერ დამნაშავეობის დონისა და სოციალური პრობლემების საკითხებზე სამეცნიერო (სოციოლოგიური) კვლევების ჩატარებას.

პარალელურად სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტი უზრუნველყოფს სტატისტიკური ინფორმაციის რეგულარულ შეგროვება-დამუშავებას (სამართალდარღვევების კუთხით). სამინისტროს მიერ მზადდება პერიოდული ანგარიშები ქვეყნის, რეგიონიების, დანაშაულის სახეობების და დინამიკის მიხედვით.

სამინისტრო, როგორც სტრატეგიულ ისე ტაქტიკურ-ოპერატიულ დონეზე მოქმედების განსაზღვრისას ეფუძნება აღნიშნულ ინფორმაციას, განსაკუთრებით კონკრეტული პრევენციული ინიციატივების მომზადებისას.

7.4. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

შსს აცნობიერებს, რომ სამართალდამცავი სისტემის ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზოგადებრივ მხარდაჭერასა და თანამშრომლობაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, რაც თავისთავად ხელს უწყობს ამგვარი ურთიერთობის განმტკიცებას, სამინისტრო უზრუნველყოფს:

- საჯარო ინფორმაციის დაუბრკოლებელ გაცემას;

- საზოგადოებისათვის ინფორმაციის რეგულარულ მიწოდებას (მათ შორის რეფორმების, ახალი კანონმებლობის, (კომპეტენციის ფარგლებში) ადამიანის უფლებების დაცვის, პოლიციელთა მუშაობის (როგორც წარმატებულ საქმეებზე, ისე დარღვევების ფაქტებზე) სხვადასხვა ბეჭდვითი და ელექტრონული საშუალებებით (მათ შორის საკუთარი საინფორმაციო ინიციატივების ფარგლებში: გადაცემები, სამინისტროს ვებ-გვერდი, სამინისტროს ბეჭდვითი მასალა)

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ა კავშირშია დანაშაულის პრევენციასთან, თუმცა ამასთანავე, სამინისტრო ანხორციელებს კომპლექსურ მუშაობას ამ მიმართულებით. შსს ცენტრალურ დონეზე გეგმავს და ადგილობრივ დონეზე ხელს უწყობს პრევენციული პროექტების განხორციელებას და საზოგადოების ჩართულობას ამ პროცესში.

შსს, საქართველოს განათლების სამინისტროსთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს დანაშაულის პრევენციის კამპანიებში, როგორც უშუალოდ კრიმინალთან ბრძოლით, ასევე დანაშაულის უარყოფითი მხარეების საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით კი არასრულწლოვნებისათვის გაცნობით. პრევენციული საქმიანობის თვალსაზრისით პრიორიტეტებად რჩება არასრულწლოვანთა დანაშაულისა და ნარკოტიკული დანაშაულის პრევენცია.

სამინისტრო მუდმივად ახორციელებს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისა და გამოძიების კუთხით.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

1. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ჩამოყალიბებისთვის არის პოლიტიკური ნება და გადაწყვეტილება მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის თაობაზე. ეს პრინციპი, როგორც ხელშეუხებლობის, სტაბილურობის და უცვლელობის კონსტიტუციური გარანტია, შექმნის მთავარ წინაპირობას იმისთვის, რომ მოსამართლეები იყვნენ უფრო დაცულები და შესაბამისად უფრო დამოუკიდებელნი თავიანთ გადაწყვეტილებებში.

აღნიშნულისთვის, საჭირო საქართველოს კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

სასამართლო სისტემის ერთიანობისა და მოსამართლეთა ერთიანი სტატუსის განმტკიცების მიზნით, "საერთო სასამართლოების შესახებ" და "უზენაესი სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონების შერწყმით მომზადდა კანონპროექტი "საერთო სასამართლოების შესახებ", რომელიც მისაღებად წარედგინა პარლამენტს.

2. მოსამართლეთა ვაკანტური ადგილების ეტაპობრივი შევსება

„იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, პირის მოსამართლედ გასამწესებლად აუცილებელია იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსის გავლა, რის შემდეგაც დგება მსმენელთა საკვალიფიკაციო სია. სწორედ საკვალიფიკაციო სიაში იუსტიციის მსმენლის რიგითი ნომერი უნდა იქნეს გათვალისწინებული მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევისას.

ამავე კანონის თანახმად, მოსამართლეთა შერჩევის ახალი წესი უნდა ამოქმედდეს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ იუსტიციის მსმენელთა პირველი საკვალიფიკაციო სიის დამტკიცების შემდეგ. მსმენელთა პირველი ნაკადი სკოლაში ჩაირიცხა 2007 წლის დეკემბერში. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლების ხანგრძლივობა მოიცავს 14 თვეს. შესაბამისად, იუსტიციის მსმენელთა პირველი საკვალიფიკაციო სია დამტკიცდა და მოსამართლეთა დანიშვნის ახალი წესი სავარაუდოდ უნდა ამოქმედდეს 2009 წლის მაისიდან. კანონის თანახმად, საკვალიფიკაციო სიის დამტკიცებისთანავე შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს მოქმედ კანონმდებლობაში, რომლითაც განისაზღვრება მოსამართლედ გამწესების ახალი წესი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მომზადებულ იქნა შესაბამისი კანონპროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარედგინა.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შესაბამისი საკანონდებლო ცვლილებების მომზადება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება მოსამართლეთა დანიშვნის ახალი წესი იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდგომ. რეფორმის მიზანია 2011 წლისათვის სისტემაში მუშაობდეს დაახლოებით 300 მოსამართლე, რაც საკმარისი იქნება ახალი სასამართლო სისტემის მთელი ქვეყნის მასშტაბით ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

რნიზაცია

ათი მთავარი მიზანია სასამართლო სისტემის ინსტიტუციური რეორგანიზაცია. ამ მიმართულებით რეფორმის ძირითადი ნაწილი უკვე განხორციელდა: დღეისათვის უკვე დამთავრებულია 50 სასამართლო შენობის რეკონსტრუქცია და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვა. აღნიშნულის შედეგად მივიღეთ მწყობრი, ფუნქციურად გამართული სისტემა, სადაც უზრუნველყოფილია თანმიმდევრული ინსტანციურობის პრინციპი.

სასამართლო სისტემის მოქნილი მოდელის ჩამოყალიბების და საკასაციო საჩივრების დასაშვებობის კრიტერიუმების გარდა, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინიციატივით მაგისტრატი მოსამართლეებისათვის შეიქმნა პრაქტიკული რეკომენდაციები სისხლის სამართლის პროცესის ძირითად საკითხებზე, დამატებითი პრაქტიკული რეკომენდაციები სისხლის სამართლის პროცესის ძირითად საკითხებზე და პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის საკითხებზე.

მოსამართლისთვის ტექნიკური და მატერიალური პირობების შექმნის, მართლმსაჯულების შეუფერხებლად და ოპერატიულად განხორციელების მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით გრძელდება სასამართლო შენობათა ინტენსიური რეკონსტრუქცია, მოსამართლეთა და მათი დამხმარე პერსონალისათვის მატერიალურ-ტექნიკური პირობების შექმნა-გაუმჯობესება.

4. იუსტიციის უმაღლესი სკოლა და მოსამართლეთა პროფესიული განვითარება

2006 წლიდან ფუნქციონირებს იუსტიციის უმაღლესი სკოლა, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსამართლეთა გადამზადება მათი პროფესიული სრულყოფის მიზნით.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის სწავლების სისტემა ეწევა მოქმედი მოსამართლებიის პროფესიული გადამზადებას და ახალი მოსამართლეების პროფესიული განვითარების უზრუნველყოფას სასწავლო პროგრამების მეშვეობით.

ამასთანავე, სკოლა ყურადღებას ამახვილებს არა აკადემიურ საკითხებზეც, როგორიც არის დარბაზის მართვის ხელოვნების, წერის კულტურის, მხარეთა ფსიქოლოგიისა და სხვა პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლებაზე.

5. სასამართლოებში კომპიუტერული ქსელის შექმნა

სასამართლო სისტემის ფორმირების ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია ტექნიკური პირობების გაუმჯობესება. კერძოდ, ყველა რეკონსტრუირებულ სასამართლოში მოხდა სხდომის დარბაზების კომპიუტერული აღჭურვა.

სასამართლოების კომპიუტერული ტექნოლოგიით აღჭურვა და ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩაბმა: დღეისათვის ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩართულია 19 დიდი სასამართლო და რეფორმის ფარგლებში მოხდება ყველა დიდი სასამართლოს ქსელში ჩართვა.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია სასამართლო სისტემაში საქმის წარმოების გაუმჯობესება შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის დანერგვით. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაო

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ების გაცნობა და პროგრამის შემუშავება. 2009 წლის
ს დასრულება და მისი დანერგვა 10 სასამართლოში.

6. სასამართლო რეფორმის თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობა

სასამართლოების საქმიანობის შესახებ საზოგადოებას ინტენსიურად მიეწოდება ინფორმაცია, როგორც სპიკერ-მოსამართლეების, ასევე სასამართლოთა პრესსამსახურების მიერ. ასევე მოქმედებს სატელევიზიო პროექტი ტელეკომპანია „მზე“-ზე, რომლითაც თავად სასამართლოების მიერ გადაღებული ვიდეომასალა ყოველკვირეულად გადის ეთერში. პროექტი საშუალებას აძლევს საზოგადოებას მიიღოს ინფორმაცია ყველა იმ საინტერესო სიახლის შესახებ, რომელიც სასამართლოს უკავშირდება და მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებზე, საზოგადოებაში სამართლებრივი ქცევის წესების ჩამოყალიბებას და სამართლებრივი შეგნების განვითარებას.

საჯარო ხასიათის ღონისძიებების თვალსაზრისით უზენაესი სასამართლოს მხარდაჭერით ხორციელდება იურისტ სტუდენტთა სამართლებრივი ოლიმპიადის პროექტის განხორციელება, რომელიც გულისხმობს იმიტირებული სასამართლო პროცესების გათამაშებას სტუდენტური გუნდების მიერ.
სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი ცვლილებების საფუძველზე, მართლმსაჯულების განხორციელებაში ხალხი მიიღებს მონაწილეობას ნაფიცი მსაჯულების სისტემის მეშვეობით. 2008 წლიდან ტელეკომპანია „იმედის“ არხზე მიმდინარეობს გადაცემათა ახალი ციკლი ნაფიც მსაჯულებზე – „ვერდიქტი“. გადაცემის მთავარი მიზანია საზოგადოებისათვის სასამართლო რეფორმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება სასამართლო ხელისუფლებაში მიმდინარე რეფორმების შესახებ განხორციელდება შემდეგი სახით:

- საინფორმაციო ფორმატის სატელევიზიო გადაცემა, საგაზეთო პუბლიკაციები, მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე მაღალტირაჟიან გაზეთში სპეციალური ჩანართის გაკეთება.
- სარეკლამო შინაარსის კლიპების მომზადება და გაშვება სხვადასხვა ტელე-მედია საშუალებებში.
- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეხვედრები სტუდენტებთან, სკოლის მოსწავლეებთან.
- საინფორმაციო შინაარსის ბროშურების მომზადება-გამოცემა.
- ტრეინინგები ჟურნალისტებისთვის მართლმსაჯულების სიახლეების შესახებ.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

იურიდიული განათლების რეფორმირებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები:

- განათლება არის არა ეტაპი, არამედ უწყვეტი პროცესი;
- ერთის მხრივ სახელმწიფოს ინტერესი დაარეგულიროს იურიდიული პროფესია, ხოლო, მეორეს მხრივ, აკადემიური თავისუფლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიის პრინციპები უნდა იყოს დაბალანსებული;
- პროფესია და განათლება ურთიერთკავშირშია;
- იურიდიული განათლება არის იურისტის პროფესიული განვითარების (საქმიანობის) საფუძველი.

რეფორმის ძირითადი მიზნები და მიმართულებებია:

- იურიდიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- იურიდიული განათლების ორგანიზაცია;
- აკრედიტაციის სრული სისტემის შექმნა;
- პროფესიასა და განათლებას შორის მჭიდრო კავშირის დამყარება;
- იურისტის მოღვაწეობის მანძილზე პერიოდულად პროფესიული განვითარების ამაღლების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

1. იურიდიული განათლების ხელმისაწვდომობა

უმაღლესი განათლების შესახებ კანონი განსაზღვრავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტების მიღების წესსა და პირობებს. აღნიშნული სტანდარტები ვრცელდება იურიდიულ განათლებაზეც. იურიდიულ ფაკულტეტებსა და სასწავლებლებში მიღება წარმოებს კანონით დადგენილი ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გზით. არსებული სისტემა გამჭვირვალე და ობიექტური გამოცდების ჩატარების გზით უზრუნველყოფს სტუდენტთათვის სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების თანაბარ შესაძლებლობას.

2. იურიდიული განათლების ორგანიზაცია

იურიდიული განათლება მოიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებს. უმაღლესი განათლების შესახებ კანონით განისაზღვრა თითოეული საფეხურის წარმატებით დასრულებისათვის სავალდებულო კრედიტების რაოდენობა.
დამატებითი მოთხოვნები განისაზღვრება შემდგომში

3. თეორიული და პრაქტიკული განათლება

იურიდიული განათლება უნდა მოიცავდეს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სწავლებას. ამის შედეგად სტუდენტს თეორიულ ცოდნასთან ერთად პროფესიული უნარ-ჩვევებიც განუვითარდება.

განათლების სტანდარტები განისაზღვრება სახელმწიფო აკრედიტაციის ორგანოს მიერ და მოწმდება აკრედიტაციის პროცედურის საფუძველზე. თეორიული განათლება უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფოში მოქმედი სამართლის ძირითადი დარგების სწავლებას, სასამართლოში საქმის წარმოების და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის წესებს.

პრაქტიკული სწავლების მიღების შესაძლებლობა მჭიდრო კავშირშია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო იურიდიულ დაწესებულებებთან. იურიდიული განათლების რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია უნივერსიტეტებსა და პროფესიულ

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

 მლობისთვის ხელის შეწყობა, რაც გააძლიერებს ფესიას შორის. თანამშრომლობის ხელშეწყობა ინენტის უზრუნველყოფის მიზნით გულისხმობს პრაქტიკული მეცადინეობებისათვის სახელმწიფო დაფინანსების გამოყენების შესაძლებლობის ხელშეწყობას როგორც სახელმწიფო, ასევე აკრედიტირებულ კერძო დაწესებულებებში. პრაქტიკული განათლების მიღება შესაძლებელია განხორციელდეს აკრედიტირებული უნივერსიტეტების იურიდიულ კლინიკებშიც.

4. იურიდიული განათლება და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები

იურიდიული განათლება საშუალებას უნდა აძლევდეს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების შესახებ. კონცეფცია ითვალისწინებს ამის შესაძლებლობას ინტერდისციპლინარული სწავლების კურსების მეშვეობით.

5. სწავლების მეთოდიკა

სწავლების მეთოდიკის შერჩევა განეკუთვნება იურიდიული სასწავლებლების თავისუფალ აკადემიურ სფეროს და შესაბამისად წარმოდგენილი კონცეფცია არ ადგენს ზუსტ მითითებებს ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ითვალისწინებს სწავლებისას ინტერაქტიული მეთოდების დანერგვის აუცილებლობას.

აკრედიტაციის სრული სისტემა

<u>აკრედიტაციის ორგანო</u>

იურიდიული სასწავლებლების აკრედიტაციას ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული აკრედიტაციის ორგანო. აკრედიტაციის ორგანოს საქმიანობის პრინციპები და მიზანი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

უნდა არსებობდეს ფორმალური და ეფექტური საშუალებები:

- სამართლის პროგრამების ხარისხის უზრუნველსაყოფად;
- მათი ეფექტურობის შემოწმების შემდგომი მონიტორინგისა და სტუდენტის მიერ სწავლების დასახული შედეგების მიღწევის შეფასებისათვის;
- ამ მიზნებისა და შედეგების მუდმივი შემოწმებისათვის.

<u>აკრედიტაცია</u>

ექსპერტთა ჯგუფი მოახდენს იურიდიული განათლების ინსტიტუტების სასწავლო პროგრამების შინაარსის, ხარისხისა და სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებას, ასევე განათლების მისაღებად საჭირო ბაზის არსებობას. შემოწმება ჩატარდება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე განსაზღვრავს შემდეგს:

1. იურიდიული განათლების შინაარსს;
2. თითოეული საგნის სწავლების შედეგებს;
3. პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს;
4. მინიმალურ რესურსებს საკვალიფიკაციო სამართლებრივი ხარისხების აუცილებელი სტანდარტის უზრუნველსაყოფად;
5. სტანდარტებთან შეუსაბამობის შედეგებს.

6. იურიდიული განათლება და იურიდიული პროფესია

იურიდიული პრაქტიკა შესაძლებელია ხორციელდებოდეს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ინსტიტუტებში და სასამართლოში წარმომადგენლობით. იურიდიული

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ე სავალდებული იქნება სასერტიფიკაციო გამოცდის

სასერტიფიკაციო გამოცდა ერთიანი სტანდარტებით მიმდინარეობს. სასერტიფიკაციო გამოცდის გარეშე იურიდიული განათლების მქონე პირს უფლება ექნება იმუშაოს იურისტად სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებში, მონაწილეობა მიიღოს მედიაციაში, კონტრაქტების, იურიდიული დოკუმენტების მომზადებაში და ა.შ.

სასამართლოში წარმომადგენლობის უფლების მოსაპოვებლად სავალდებულო იქნება:

- უმაღლესი იურიდიული განათლება (ბაკალავრის/ან მაგისტრის ხარისხი);
- სტაჟირების ერთწლიანი კურსი;
- სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულო იქნება:

- უმაღლესი იურიდიული განათლება (ბაკალავრის/ან მაგისტრის ხარისხი);
- სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება
- 5-წლიანი პროფესიული გამოცდილება;
- იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.

ნოტარიუსის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებული იქნება:

- უმაღლესი იურიდიული განათლება (ბაკალავრის ხარისხი);
- სტაჟირების ერთწლიანი კურსი ნოტარიატის სისტემაში;
- სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

7. სიცოცხლის მანძილზე განათლების შესაძლებლობები

კარიერის მანძილზე, იურიდიული პრაქტიკის უფლების შენარჩუნების მიზნით, სერტიფიკატის მფლობელი ვალდებულია პერიოდულად გაიაროს განგრძობადი პროფესიული დახელოვნების კურსი. განგრძობადი პროფესიული დახელოვნება გულისხმობს კრედიტების განსაზღვრული რაოდენობის დაგროვების მოთხოვნას. პროფესიული დახელოვნების კურსებს შესაძლოა ახორციელებდნენ იუსტიციის უმაღლესი სკოლა, აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, ასევე პროფესიული ორგანოები.

სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული დახელოვნების კურსების ხელმისაწვდომობა სახელმწიფო სექტორში მოღვაწე სერტიფიკატის მქონე პირთათვის. ამ შემთხვევაში, კურსებში მონაწილეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

სერტიფიკატის მფლობელი ვალდებულია იქონიოს მის მიერ გავლილი განგრძობადი პროფესიული დახელოვნების კურსების ზუსტი ნუსხა, რომელიც შესაძლებელია შემოწმებულ იქნეს შესაბამისი პროფესიული ორგანოს მიერ.

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

ახალხო დამცველი

ტუციური რეგულირების საკითხი

საჭიროა გაძლიერდეს სახალხო დამცველის საკონსტიტუციო რეგულირების ფარგლები. კერძოდ, შეიქმნას კონსტიტუციის თავი სახალხო დამცველის შესახებ, სადაც გაიწერება შექმნის წესი, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, დამოუკიდებლობის გარანტიები, მათ შორის ფინანსური დამოუკიდებლობის გარანტიები, ბიუჯეტის ფორმირება და სახალხო დამცველის დათხოვნის წესი. კონსტიტუციური რეგულირების დახვეწა ხელს შეუწყობს სახალხო დამცველის ინსტიტუტის გაძლიერებას.

2. სახალხო დამცველის ინსტიტუტის ხელმისაწვდომობა

სახალხო დამცველის ფუნქციების ეფექტურად განხორციელების მიზნით მნიშვნელოვანია შეიქმნას ძლიერი რეგიონული ოფისები, რომელიც გეოგრაფიულად მოიცავენ საქართველოს მთელ ტერიტორიას. აუცილებელია არსებული ოფისების საქმიანობის მდგრადობის უზრუნველყოფა საბიუჯეტო ასიგნებებით.

3. ცნობადობის ამაღლება

“სახალხო დამცველის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, სახალხო დამცველი ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ამ მიზნით, სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა სამოქალაქო განათლების ცენტრი, რომლის ეფექტურობის გაზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, აღნიშნული ცენტრების გახსნა საქართველოს რეგიონებშიც.

4. საქმეთა მართვის სისტემის გაუმჯობესება

სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე საქმეთა (შემოსული განცხადებების) მართვის სისტემა. აღნიშნული გულისხმობს აპარატის საქმიანობის გადასვლას დოკუმენტთა ელექტრონული მართვის სისტემაზე.

5. წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შექმნა

აუცილებელია სრულად იქნეს განხორციელებული გაეროს წამების წინააღმდეგ კონვენციის დამატებითი ოქმით ნაკისრი ვალდებულება წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ეროვნული მექანიზმის შექმნასთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის ოფისი დასახელდეს პრევენციის ეროვნულ მექანიზმად. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ძირითადი ფუნქციაა მონიტორინგის განხორციელება დახურული ტიპის ინტიტუციებში და ანგარიშების წარდგენა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსი. წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირებით სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, გამოყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები.

6. გაფართოვდეს თანამშრომლობის შესაძლებლობები საკანონმდებლო ორგანოსთან

Your complimentary use period has ended. Thank you for using PDF Complete.
Click Here to upgrade to Unlimited Pages and Expanded Features

[illegible]ესებული ჩარჩოები უნდა გაფართოვდეს და სახალხო [illegible] ადამიანის უფლებათა საკითხებთან დაკავშირებით [illegible]ის მოსმენა. კომიტეტის მხრიდან უარი უნდა იყოს დასაბუთებული.

7. სახალხო დამცველის უფლება მიმართოს სასამართლოს

სახალხო დამცველს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით წარსდგეს სასამართლოს წინაშე *Amicus Curiae*-ს ანუ სასამართლო ამხანაგის როლში და მოახსენოს სასამართლოს საკუთარი პოზიცია განსახილველ საკითხთან მიმართებაში

8. სახალხო დამცველის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხის ეფექტურობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია თანამშრომელთა პროფესიული მომზადება-გადამზადება. აღნიშნული ითვალისწინებს მათთვის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და სტანდარტების, საერთაშორისო ტრიბუნალებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გაცნობას.

9. შეიქმნას ფინანსური დამოუკიდებლობის გარანტიები

სახალხო დამცველისათვის, თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას, მნიშვნელოვანია ფინანსურად დამოუკიდებელი იყოს ადმინისტრაციული ორგანოებისგან, რათა შეინარჩუნოს ობიექტურობა და მოუკერძოებლობა. დამოუკიდებლობის მთავარი გარანტი ფინანსური სტაბილურობაა, რაც დღეს არასაკმარისად არის ასახული კანონმდებლობაში.

ფინანსურ გარანტიებზე საუბრისას მხედველობაში გვაქვს შემდეგი პროცედურები:

ა. სახალხო დამცველის საქმიანობისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა არ უნდა იყოს წინა წლის ბიუჯეტზე ნაკლები;

ბ. ბიუჯეტი იმდაგვარად უნდა იქნეს შედგენილი, რომ უზრუნველყოს სახალხო დამცველის დამოუკიდებელი და ეფექტური საქმიანობა საკუთარი უფლებამოსილებების სრულად განსახორციელებლად.

ჩამოთვლილი გარანტიები უნდა დარეგულირდეს კონსტიტუციით და შესაბამისი კანონმდებლობით.